დამტკიცებულია:
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
სხდომის ოქმი № 4, 2018 წლის 17 თებერვლის
დადგენილება №14

სსიპ სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება - 2023 წ.

1. უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, მიზნები და ამოცანები

1.1. განათლების ხარისხის უზრუნველყოფა საუნივერსიტეტო სივრცეში უმთავრესი საკითხია, ხოლო ხარისხის გაუმჯობესება, ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხარისხის შენარჩუნებასა და მუდმივ განვითარებაზეა ორიენტირებული. ხარისხის უზრუნველყოფის ცნება ყველა დაგეგმილ და სისტემურ ქმედებას, მათ განხორციელებასა და მონიტორინგს მოიცავს: კვლევას, ანალიზს, განსაზღვრული ნორმის შეფასებას, მიგნებების გამოკვეთას, რეკომენდაციებს, დასკვნებს, მოთხოვნებს, ასევე, სხვადასხვა მექანიზმსა და სისტემას. ხარისხის უზრუნველყოფა მრავალეტაპიანია. ამ ეტაპებში შედის:

- დიზაინი;
- განვითარება;
- წარმოება;
- დანერგვა;
- მომსახურება;
- დოკუმენტაციის აღრიცხვა.

2. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხსა და მის უზრუნველყოფაზე უპირველეს ყოვლისა პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ხელს უწყობს ხარისხის კულტურის განვითარებას;

1.2. ხარისხის უზრუნველყოფა ითვალისწინებს სტუდენტების, მთლიანად საუნივერსიტეტო საზოგადოების, ყველა სხვა დაინტერესებული მხარის საჭიროებებსა და მოლოდინებს, რადგან უმაღლესი განათლება სხვადასხვა მიზნის მიღწევას ემსახურება: სტუდენტების მომზადება აქტიური მოქალაქეობისა და მათი მომავალი კარიერისათვის; სტუდენტების პიროვნული განვითარების მხარდაჭერა; ცოდნის ფართო, მოწინავე ბაზის შექმნა, კვლევისა და ინოვაციის ინტეგრირება. აქედან გამომდინარე, დაინტერესებულმა მხარეებმა შესაძლებელია განსხვავებულ მიზნებს მიანიჭონ პრიორიტეტი და უმაღლესი განათლების ხარისხი განსხვავებულად განიხილონ, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გაითვალისწინოს.

1.3. ხარისხი ძირითადად სტუდენტს, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალსა და სასწავლო გარემოს შორის ინტერაქციის შედეგია. ხარისხის უზრუნველყოფამ უნდა ჩამოაყალიბოს ისეთი სასწავლო გარემო, სადაც პროგრამის შინაარსი, სწავლის შესაძლებლობები და საშუალებები შესაბამისობაშია დასახულ მიზანთან, უნივერსიტეტის მისიასთან.

1.4. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის მთავარი მიზანი ანგარიშვალდებულება და განვითარებაზე ზრუნვაა, რაც ქმნის ნდობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის მიმართ.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული მიზნების ეფექტურ განხორციელებას, გამჭვირვალობას, უწყვეტობას, აკადემიურ თავისუფლებას, აკადემიურ კეთილსინდისიერებას, ანგარიშვალდებულებას, უნივერსიტეტის სტრატეგიული მენეჯმენტის ნაწილია და აქვს საჯაროდ ხელმისაწვდომი პოლიტიკა.

ხარისხის განვითარების სისტემა ეფუძნება ხარისხის შიდა მექანიზმების თითოეული ფაკულტეტის განვითარების თავისებურებებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის ძირითადი ვექტორია: ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესებისა და სამეცნიერო მუშაობის ისეთ განვითარებას, რომ უნივერსიტეტი საგანმანათლებლო სივრცეში იყოს სტუდენტების, პარტნიორების, საზოგადოების აღიარებისა და ნდობის მაგალითი.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მიზანია:

1. სწავლების, სწავლის, კვლევის და მართვის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება;
2. სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, შესაძლებლობების რეალიზება;
3. სწავლების ოპტიმალური გარემოს შექმნის პროცესის ხელშეწყობა;

აღნიშნული მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოქმედებს შიდა და გარე შეფასების ინსტრუმენტებით, რომლებიც ქმნიან ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტ, ციკლურ პროცესებს;

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე (PDCA) ციკლს, რომელიც გულისხმობს შემდეგს:

ა) დაგეგმე - Plan: ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი იწყება შეფასებისა და რეაგირების პროცესების დაგეგმვით, რაც გულისხმობს შეფასებისთვის საჭირო ნაბიჯებისა და მიღებულ შედეგებზე რეაგირების პროცესების დაგეგმვას;

ბ) განახორციელე - Do: დაგეგმილი შეფასების პროცესების განხორციელება, რაც გულისხმობს არსებული საყურადღებო საკითხებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოჩენას; მიღებულ შედეგებზე რეაგირება, რაც გულისხმობს მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით ნაბიჯების გადადგმას, საჭირო ცვლილებების განხორციელებას;

გ) შეაფასე - Check: განხორციელებული ცვლილებების შედეგებზე დაკვირვება, ცვლილებების შედეგად მიღებული რეზულტატის შეფასება, შესაბამისად, განხორციელებული პროცესების, რეაგირების გზებისა და საშუალებების, ანუ, პროცესში გამოყენებული მექანიზმების შეფასება;

დ) განავითარე - Act: შეფასების შედეგების საფუძვლეზე საჭირო ცვლილებების განხორციელება, რაც გულისხმობს გამოყენებულ მექანიზმებთან, მიდგომებთან ან ჩატარებულ ქმედებებთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტების, შეფასების ინსტრუმენტების და ა.შ. გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში განახლებას პროცესის დახვეწისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

PDCA ციკლი გამოიყენება:

- როგორც უწყვეტი განვითარების მოდელი;
- როგორც ახალი პროექტის განვითარების შესაძლებლობა;
- როგორც პროცესის, პროდუქტის შექმნის ან ძველის გაუმჯობესების შესაძლებლობა;
- მონაცემთა შეგროვების და ანალიზის დაგეგმვის პროცესში პრობლემების ან გამომწვევი მიზეზების დახარისხების და პრიორიტეტიზაციის მიზნით;
- ნებისმიერი ცვლილების დანერგვისას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის პრიორიტეტები:

ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფა (რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტის მისიით განსაზღვრული მიზნების მიღწევას).

ხარისხის გარე შეფასება მოიცავს:

- ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების დაკმაყოფილება;
- აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების დაკმაყოფილება;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის უზრუნველყოფა;
- არსებული საგნამანათლებლო პროგრამების განვითარება და ახალი (ბაზრის კვლევაზე დაფუძნებული) პროგრამების შემუშავება, მათ შორის ერთობლივი პროგრამები;
- პარტნიორი უნივერსიტეტებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო ინსტიტუციების ჩართვა გარე შეფასების პროცესში;
- კოლეგების შეფასების (per-reviev) კულტურის დანერგვა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობაში.

თანამშრომლობა ეროვნულ და საერთაშორისო უსდ-ებთან

- პარტნიორ ეროვნულ და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან ერთობლივი პროგრამების, უცხოენოვანი პროგრამების ერთობლივი და ორმაგი ხარისხით შემუშავების ხელშეწყობა;
- თანამშრომლობა პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტების შესაბამის სტრუქტურებთან, უნივერსიტეტის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის მიზნით;
- საერთაშორისო აკრედიტაციისათვის მზადების პროცესში საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა კოლეგიალური შეფასების, სემინარების, ტრენინგების, კონსულტაციების კუთხით;
- განათლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებულ ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება უნივერსიტეტის სტუდენტების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში ჩართულობის მიზნით;
- უცხოელი სტუდენტების მოზიდვის ხელშეწყობა პროგრამების პოპულარიზაციის, პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის, საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებებში გაწევრიანების გზით.

მართვის ეფექტიანობის შეფასება და განვითარება

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, როგორც შიდა, ასევე გარე, უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას;
- უნივერსიტეტის საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება სტრატეგიული გეგმის განხორციელების ეფექტურობის, ეფექტიანობისა და ხარისხის, ზეგავლენის მასშტაბისა და რელევანტურობის განსაზღვრის სისტემური და დისციპლინირებული პროცესია. ის უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ, სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ანგარიშების მეშვეობით.
- უნივერსიტეტი უზრუნველყოფს რელევანტური ინფორმაციის შეგროვებას, გაანალიზებას, რასაც იყენებს პროგრამების და სხვა აქტივობების ეფექტური მენეჯმენტისათვის, ანუ ახდენს პროგრამების მონიტორინგს და პერიოდულ შეფასებას, რათა უზრუნველყოს დაგეგმილი მიზნების მიღწევა და რეაგირება აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და საზოგადოების საჭიროებაზე. შეფასება ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტ განვითარებას. აღნიშნული პროცედურები გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების წესში.
- უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ხდება ორი ძირითადი წყაროდან - მონიტორინგიდან და შეფასებიდან.

მონიტორინგი - როგორც სტრატეგიული გეგმის ფარგლებში განსაზღვრული კონკრეტული ამოცანების მიმართ პროგრესის შემოწმების განგრძობადი პროცესი.

შეფასება - სტრატეგიული გეგმის იმპლემენტაციის პროცესისა და გავლენის მაქსიმალურად სისტემური და ობიექტური შეფასება.
შეფასების სისტემისა და მონიტორინგის შედეგების რეაგირების მექანიზმის გააქტიურება.

ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია სამ ძირითად მიმართულებაზე (ხარისხის შიდა შეფასებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მექანიზმების მეშვეობით:

1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა;

2. სამეცნიერო საქმიანობის შეფასება;

3. მართვის ეფექტიანობის შეფასების სისტემა;

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა; უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, სისტემა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ისეთი მაღალი აკადემიური სტანდარტების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განვითარებას, რომელთა მიზნები და სწავლის შედეგები რეალისტური, მიღწევადი და ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისკენ, გათვალისწინებულია შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროების მოთხოვნები და იძლევა განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას. სწავლება/სწავლის და შეფასების პროცესები არის სტუდენტზე ორიენტირებული, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის ისეთი სწავლების მეთოდების მიწოდებას, რაც წაახალისებს სტუდენტებს და აუმაღლებს მოტივაციას სასწავლო და სხვა აქტივობების პროცესში.

- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ეფექტურადაა ჩართული ყველა რგოლი;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურად განსახორციელებლად უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაბამისი ადამიანური, საინფორმაციო და მატერიალური რესურსების არსებობას;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებას და განვითარებას;
- შეფასების შედეგები გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის;
- შემუშავებულია სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი და შედეგებს ითვალისწინებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად;
- შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები, რომელთა განხორციელებაშიც აქტიურად ჩართულები არიან, როგორც აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალი და სტუდენტები, ასევე, გარე დაინტერესებული მხარეები (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სხვ);
- პერიოდულად ახდენს მის მიერ მოწოდებული სერვისებისა და რესურსების ხარისხის შეფასებას. შეფასების შედეგები გამოიყენება მათი შემდგომი განვითარებისთვის.

სწავლა/სწავლება

- პროცესების ხარისხის;
- პროგრამების ხარისხი;
- კურსადამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ჩარჩოს ფორმირება (პროცესები, პროცედურები, ნორმატიული აქტები);
- გაზომვად ინდიკატორებზე დაფუძნებული კომპლექსური ანგარიშგება-შეფასების სისტემის შექმნა;
- უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მაღალი ჩართულობა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებში;
- სისტემური კვლევებისა და ანალიზების ჩატარება (SWOT ანალიზი);
- ანალიზის შედეგებისა და შეფასების ობიექტურობის, გამჭვირვალობის, ხელმისაწვდომობის და საჯაროობის უზრუნველყოფა;

კვლევა

- შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით, უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებისათვის ვაზომვადი ინდიკატორების განსაზღვრა;

ზემოაღნიშნული მიმართულებების ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედ შემდეგ სამართლებრივ აქტებზე დაყრდნობით:

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო/თვითშეფასების ჯგუფის შექმნის მეთოდოლოგია
- საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა;
- საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;
- .პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მექანიზმი;
- საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება;
- პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება;
- აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი;
- პროგრამის შეფასება ხელმძღვანელის მიერ;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესი;
- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კმაყოფილების კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მააგისტრატურის დებულება;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულება
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის კონცეფცია;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების დებულება;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება;
- უნივერსიტეტის სტრუქტურა.

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, სისტემა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ისეთი მაღალი აკადემიური სტანდარტების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განვითარებას, რომელთა მიზნები და სწავლის შედეგები რეალისტური, მიღწევადი და ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისკენ, გათვალისწინებულია შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროების მოთხოვნები და იძლევა განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას. სწავლება/სწავლის და შეფასების პროცესები არის სტუდენტზე ორიენტირებული,

რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის ისეთი სწავლების მეთოდების მიწოდებას, რაც წაახალისებს სტუდენტებს და აუმაღლებს მოტივაციას სასწავლო და სხვა აქტივობების პროცესში.

წინამდებარე ანგარიში, რომელიც მოიცავს პერიოდს 2023 წლის იანვრიდან 2023 წლის დეკემბრის ჩათვლით, წარმოდგენილია ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, განვითრების, სწვალება/სწავლისა და კვლევის, საუნივერსიტეტო სერვისების ხარისხის განვითარების არსებული მდგომარეობა საანგარიშო პერიოდისთვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის (3 წლიანი ანგარიში), სამუშაო ვერსია, რომელშიც რეკომენდაციები განაწილებული იყო ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად და ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნასთან ერთად სამუშაო ჯგუფის წევრებს გაეგზავნა. აგრეთვე, თითოეული სტანდარტისა და ქვესტანდარტის, სამოქმედო გეგმის შესრულებული ამოცანების, აქტივობების, რაოდენობრივი მაჩვენებლებისა და მტკიცებულებების შესაბამისად მოგროვდა მასალა, ასევე სისტემასი იქნა მოყვანილი ის მასალა, რომელზეც რეკომენდაცია არ იყო გაცემული, მაგრამ უნივერსიტეტში ჩატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოდიფიცირდა ან/და შეიქმნა ახალი კანონქვემდებარე აქტები ავტორიზაციის მინიჭებიდან თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენამდე, ავტორიზაციის სტანდარტებთან თავსებადობის ყველა სახის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში.

ადმინისტრაციის სამსახურის მიერ ძირითადი სტრუქტურული ერთეულებთან

უკუკავშირის საფუძველზე, შემუშავდა უნივერსიტეტის კონსოლიდირებული ბიუჯეტი, რომელშიც სამოქმედო გეგმის ყველა ელემენტი დაკავშირებულია ბიუჯეტის კონკრეტულ თანხებთან, ადამიანურ რესურსებთან და მატერიალურ მოთხოვნებთან.

საზღვარგარეთთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების მიერ პერსონალის მობილობის, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესახებ, უნივერსიტეტის სტრუქტურული, თუ ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების მიერ უნივერსიტეტში დაგეგმილი და განხორციელებული სხვადასხვა სახის ღონისძიებების ინფორმაციის მოგროვება მიმდინარეობდა მთელი საანგარიშო პერიოდის მანძილზე, რადგან აღნიშნული საკითხი უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულია და მუდმივად ცდილობს სტუდენტებისა, თუ აკადემიური/მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო სასწავლო/სამეცნიერო პროექტებში/გრანტებში და სხვადასხვა ადგილობრივ, თუ საერთაშორისო აქტივობებში ჩართვას და ხელშეწყობას.

შეხვედრებში აქტიურად იყო ჩართული უნივერსიტეტის იურისტი.

რეკომენდაციების ფარგლებში მოდიფიცირებული, თუ ახალი დოკუმენტების განხილვა და დამტკიცება ხდებოდა ,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ შესაბამისად, უნივერსიტეტის აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებზე.

სამუშაო ჯგუფებთან ეტაპობრივად ხდებოდა შეხვედრები შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაციისა და მტკიცებულებების წარმოდგენის მიზნით, სრულყოფილმა მასალამ თავი მოიყარა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

„ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის“ მომზადება და მტკიცებულებების წარმოდგენა დასრულდა მიმდინარე წლის ივლისში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 20 თებერვლის №02 გადაწყვეტილების საფუძველზე (იხილეთ ბმული: https://eqe.ge/media/12655/N220.02.2020.pdf) უსდ-ს განესაზღვრა რეკომენდაციები.

- სამოქმედო გეგმის ყველა ელემენტი უნდა იყოს დაკავშირებული ბიუჯეტის კონკრეტულ თანხებთან, ადამიანურ რესურსებთან და მატერიალურ მოთხოვნებთან, რათა ხელი შეეწყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესებს მონიტორინგში, პრიორიტეტულ საქმიანობებსა და სამომავლო ცვლილებებში. ინდიკატორები, საჭიროების შემთხვევაში, უნდა უკავშირდებოდეს მიზნებს (სამიზნე ნიშნულებს).

- ფაკულტეტები უფრო მეტად უნდა უკავშირდებოდნენ სტრატეგიულ გეგმას განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომლიც მათ განვითარებას ეხება.
- უნივერსიტეტი განიხილავს ადმინისტრაციული ერთეულების რესტრუქტურიზაციას, ამიტომ მან უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა, რადგან ეს ორი სფერო უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებს ეხება. ამ ორი განყოფილების ფუნქციები განსხვავებულია და სხვადასხვა უნარებს მოითხოვს. საერთაშორისო ურთიერთობების, სტრატეგიული განვითარების და საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთი ოფისის შექმნის ამჟამინდელი გეგმა არ შეიძლება ემსახურებოდეს უნივერსიტეტის მიზნებს.
- დაიწყეთ მოწვეული პერსონალისა და დოქტორანტების შერჩევა, რომლებიც კარგად ფლობენ ინგლისურ ენას, რათა გაიზარდოს უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის შანსი და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა.
- უზრუნველყავით, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეესტრში იყოს ზუსტი მონაცემები.
- უზრუნველყავით სასწავლო პროგრამების შეფასებისა და სრულყოფის პროცედურები ყველა ფუნქციური პროგრამისთვის.
- უზრუნველყავით, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უფრო ეფექტურად ხორციელდებოდეს ფაკულტეტის დონეზე.
- უზრუნველყავით, რომ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშება იყოს ნათელი და გამჭვირვალე და ითვალისწინებდეს ინსტიტუტის მიერ დამტკიცებულ ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებს.
- პროგრამების მუდმივი მონიტორინგი უნდა განხორციელდეს აკრედიტაციის მიმდინარეობის მიუხედავად, რათა მოხდეს შესაბამისი დარგების განვითარების შეფასება.
- შეადგინეთ წინაპირობები ბაკალავრიატის სტაჟირებისთვის, ჯგუფური პროექტებისთვის და სამაგისტრო პრაქტიკისთვის, რადგან ეს საქმიანობები ეხება წინარე სწავლის გამოყენებას.
- საჭიროების შემთხვევაში განაახლეთ სამაგისტრო დონის და სადოქტორო პროგრამების სტრუქტურა, რათა სტუდენტებმა გამოიმუშაონ შესაბამისი დონის უნარები, რომლებიც დაკავშირებულია სამეცნიერო წერასთან და კვლევის მეთოდოლოგიასთან.
- მოახდინეთ სწავლის შედეგების რესტრუქტურიზაცია გარკვეულ პროგრამებში, რათა მოხდეს პროგრამის მთლიანი შედეგების (რომელთა მიღწევაც შეიძლება დამოწმდეს) აღწერა.
- კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე აუცილებელია მომავალი დოქტორებისათვის, რადგან ისინი, სავარაუდოდ, უნივერსიტეტის მასწავლებლებისა და მკვლევარების ახალი თაობა იქნებიან. უზრუნველყავით ამ პროგრამის სასწავლო შედეგების მიღწევა.
- უზრუნველყავით, რომ სტუდენტებს შეეძლოთ ელექტრონული პროცესის მართვის სისტემის გამოყენება. გახადეთ სისტემა უფრო ინფორმაციული და ეფექტური სწავლის გაუმჯობესებისა და სტუდენტების უკუკავშირისთვის.
- უზრუნველყავით, რომ ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები იყოს მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადი.
- ყველა სასწავლო პროგრამაში განახორციელეთ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია.
- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პასუხისმგებლობის მკაცრი სისტემა და განახორციელოს იგი. პასუხისმგებლობა უნდა შეამოწმოს კოლეგიურმა ორგანოებმა, მაგალითად, აკადემიურმა საბჭომ (და არა მხოლოდ რექტორმა და ადმინისტრაციის უფროსმა). აკადემიური პერსონალის შეფასება უნდა მოხდეს მათი აკადემიური საქმიანობის საფუძველზე. ყველა შიდა საგრანტო კონკურსი უნდა მოიცავდეს ანგარიშვალდებულებას და შეფასდეს უნივერსიტეტის მიერ.
- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს გეგმა, რათა ახალი თაობის აკადემიკოსები ჩაერთონ სასწავლო და კვლევის პროცესში. ასევე უნდა დაეხმაროს მათ, რომ იყვნენ აკადემიური პერსონალის ნაწილი, რათა უზრუნველყოს უნივერსიტეტი საკმარისი რაოდენობის აკადემიკოსებით ზოგიერთი პროფესორის პენსიაზე გასვლის შემდეგ.
- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პერსონალის მობილობის, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამები და წაახალისოს მათი მონაწილეობა.

- უნივერსიტეტმა უნდა შექმნას აკადემიური პერსონალის დატვირთვის სათანადო მექანიზმი, განსაზღვროს აუდიტორული, კვლევითი და სხვა საქმიანობისთვის ზუსტი საათები. სამუშაო დატვირთვა უნდა მოიცავდეს კონკრეტულ ვალდებულებებსა და გაზომვად პასუხისმგებლობებს, რომლებიც უნდა შეასრულონ თანამშრომლებმა.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩაატარეთ სათანადო ტრენინგები სასწავლო პლატფორმის Moodle- ის გამოყენებაში, რათა ის სრულად გამოიყენონ, როგორც ეფექტური დამხმარე მექანიზმი სასწავლო პროცესში და სტუდენტებთან კომუნიკაციაში.
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისგან დამოუკიდებლად უნდა შეიქმნას კარიერული განვითარების ოფისი, რომელიც დააკავშირებს დამსაქმებლებსა და უნივერსიტეტს, ჩაატარებს ტრენინგებს საჭირო უნარ-ჩვევებში სამუშაოს მაძიებლებისთვის და შესაბამის ღონისძიებებს, როგორიცაა „კარიერის დღეები“, "დამსაქმებელთა ფორუმები“ და ა.შ.
- გაზარდეთ ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის ციკლი. გახანგრძლივეთ იგი ან პარალელურად გააგრძელეთ (კრედიტების გარეშე) პირველივე სემესტრის/წლის განმავლობაში რეგულარული სწავლის პირობებში. ეს ხელს შეუწყობს ასიმილაციასა და ინტეგრაციას აკადემიურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
- მოახდინეთ დოქტორანტურის ხელმძღვანელობის წესების ფორმულირება და უზრუნველყავით, რომ ყველა ფაკულტეტის სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი მათ დაემორჩილოს.
- მოახდინეთ უცხოელი ლექტორების ხელმძღვანელობის ან თანახელმძღვანელობისთვის წესების ფორმულირება. ხელი შეუწყეთ პროცესს და უზრუნველყავით, რომ დოქტორანტებმა მიაღწიონ ინგლისური ენის ცოდნის მაღალ დონეს, რაც მათ დაეხმარება მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო ფორუმებში.
- შეიმუშავეთ სისტემური და ოფიციალური მიდგომა კვლევის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით.
- შექმენით თითოეული ძირითადი პასუხისმგებლობის სტრუქტურული ერთეული, მაგალითად, კვლევითი განყოფილება და საერთაშორისო ურთიერთობების ოფისი. მოიზიდეთ და მოამზადეთ ადამიანური რესურსები კვლევის დამხმარე განყოფილებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ოფისისთვის.
- თითოეულ ფაკულტეტს/აკადემიურ განყოფილებას დაუნიშნეთ აკადემიური პერსონალი, დოქტორანტები და მკვლევარები, რათა მათ შეიმუშავონ ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო სააგენტოებისთვის კვლევითი წინადადებები.
- გააღრმავეთ თანამშრომლობა კვლევის განყოფილებას, საერთაშორისო ურთიერთობათა ოფისსა და ფაკულტეტებს შორის, რათა ახალგაზრდა მკვლევარები ჩაერთონ ევროკავშირის სამეცნიერო-კვლევით პროგრამებში.
- გაზარდეთ უნივერსიტეტის ბიუჯეტში კვლევის დაფინანსება.
- მოახდინეთ მონაცემთა შეგროვების სისტემატიზაცია და მონაცემთა ანალიზი; ჩართეთ ამ პროცესში კვლევის დამხმარე განყოფილება, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი და ფაკულტეტები.
- ხელახლა შეაფასეთ დატვირთვის სქემა და განუმარტეთ პერსონალს, თუ რა ფასდება.
- შეიმუშავეთ კვლევის დამხმარე განყოფილების პროდუქტიულობის შეფასების მექანიზი.
- გამოიყენეთ შეფასების შედეგები სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის შემდგომი განვითარებისათვის.
- ახალციხის კამპუსში შეაკეთეთ საევაკუაციო გასასვლელი და ბილიკები, რათა დაცული იყოს უსაფრთხოების სტანდარტები.
- დაასრულეთ საჭირო აღჭურვილობის დაყენება ისე, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ჰქონდეთ წვდომა უნივერსიტეტის შენობებში არსებულ ყველა სართულსა და ადგილზე.
- განაახლეთ ახალქალაქის კამპუსში მე-3 კორპუსი, რათა მიღწეულ იქნას იგივე სტანდარტები, როგორიცაა ახალციხის კამპუსში.
- ბიბლიოთეკის მარაგში გადაამოწმეთ და უზრუნველყავით პროგრამების სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილი ყველა სახელმძღვანელო. პროცესის მონიტორინგი უნდა მოხდეს ყოველწლიურად.

- გააძლიერეთ სტუდენტებისა და პერსონალის ტრენინგები ელექტრონული მონაცემთა ბაზებისა და ჟურნალების გამოყენებაში. აუცილებელია თანამშრომლობა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დირექტორებსა და აკადემიურ პერსონალს შორის, რომლებიც ასწავლიან სამეცნიერო წერას.
- გააძლიერეთ სტუდენტებისა და პერსონალის ტრენინგები ელექტრონული მონაცემთა ბაზებისა და ჟურნალების გამოყენებაში. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დირექტორებსა და აკადემიურ პერსონალს შორის თანამშრომლობა აუცილებელია სამეცნიერო წერის უნარის განვითარებისთვის.
- გამოიკვლიეთ და შეამოწმეთ მოსწავლეთა კმაყოფილება ელექტრონული სასწავლო პლატფორმის შესახებ და დააკმაყოფილეთ მათი მოლოდინები, რათა მათ ჰქონდეთ ამ პლატფორმის გამოყენების მოტივაცია.
- დარწმუნდით, რომ სასწავლო პროგრამების ძირითადი შინაარსი ატვირთულია ინგლისურ ენაზეც.
- უზრუნველყავით, რომ ბიუჯეტში იყოს მკაფიო და გამჭვირვალე ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული მიზნების შესრულების, კვლევითი საქმიანობის წარმართვის, ადამიანური რესურსების განვითარების, ბიბლიოთეკისა და ინფრასტრუქტურის შესახებ. გაზარდეთ კვლევისა და სამეცნიერო საქმიანობისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი.

საანგარიშო პერიოდში სსიპ-განათლების ხარისხის განვითრების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი იყო:

- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (შიდა წერილი MES 7 23 0001493532, 03.11.2023 წ.)
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი გიგზავნით უმაღლესი განათლების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების (გადაწყვეტილება №1385347, 01.11.2022 წ.) საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის „ასტრონომიის" ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის (ინგლისურენოვანი) ერთწლიან ანგარიში (14 გვერდი) თანდართული დოკუმენტაციით ((შიდა წერილი MES 7 23 0001470221, 31.10.2023 წ.).
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი გიგზავნით უმაღლესი განათლების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების (გადაწყვეტილება №1385347, 01.11.2022 წ.) საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის „ასტრონომიის" ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის (ქართულენოვანი) ერთწლიან ანგარიშს (14 გვერდი) თანდართული დოკუმენტაციით ((შიდა წერილი MES 4 23 0001470174, 31.10.2023 წ.).
- სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პროფესიული და უმაღლესი განათლების სამსახურიდან სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემოსული კორესპონდენციის (შიდა ნომერი 1368995, 13.10.2023 წ.) საფუძველზე წარდგენილი იყო დაზუსტებული ინფორმაცია:
  ა) საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები;
  ბ) ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზებულ რეჟიმში მოქმედების თაობაზე, ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილების ნომრის, თარიღისა და მოქმედების ვადის მითითებით;
  გ) ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილების ნომრის, თარიღისა და მოქმედების ვადის მითითებით;
  დ) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენა;
  ე) საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური;
  დანართი: 1 (Excel) ფაილი
- სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემოსული კორესპონდენციის (შიდა №1277492, 02.10.2023 წ.) საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოთხოვნის შესაბამისად წარდგენილი იყო შემდეგი შინაარსის დოკუმენტაცია/ინფორმაცია:

1. უნივერსიტეტში მოქმედი ფაკულტეტების დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებები (დამტკიცებული ვერსია);
2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საშტატო ერთეულების განრიგი;
3. სადოქტორო სკოლის დებულება;
4. ორი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტის სრული პირადი საქმე;
5. ბოლო 3 წლის განმავლობაში კურსდამთარებული დოქტორანტების სრული პირადი საქმე;
6. დოქტოტანტების მიერ გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად გამზადებული სტატიების/კვლევის მაჩვენებელი (განსაკუთრებით საერთაშორისო გამოცემებში);
7. დოქტორანტების საერთაშორისო კონფერენციებსა და ვორქშოფებში მონაწილეობის სტატისტიკა და მტკიცებულებები. ასევე, უნივერსიტეტის მიერ მხარდაჭერილი საერთაშორისო აქტივობების მტკიცებულებები, როგორც აკადემიურ პერსონალთან, ასევე დოქტორანტებთან მიმართებით;
8. საზღვარგარეთთან ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის ცენტრის, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების დებულება და შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტი;
9. უნივერსიტეტის ბიუჯეტი, რომელშიც გათვალისწინებულია რეკომენდაცია კვლევისა და სამეცნიერო საქმიანობისთვის გამოყოფილი ფინანსების გაზრდასთან დაკავშირებით (2023 წლის ვერსია);
10. ხარისხის სამსახურის კვლევები (2023 წ.);
11. კვლევის დამხმარე განყოფილების პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმები (ასეთი არ გვაქვს);
12. ახალციხისა და ახალქალაქის კამპუსში შეკეთებული საევაკუაციო გასასვლელისა დაბილიკების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა;
13. ფოტო ვიდეო-მასალა, სადაც დასტურდება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ წვდომა უნივერსიტეტის შენობებში არსებულ ყველა სართულსა და ადგილზე;
14. ბიბლიოთეკის მიერ ბოლო 2 წელს შეძენილი მასალების ნუსხა.
15. დაწესებულებაში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი (პროგრამის აღწერილობა, სილაბუსები, სწავლის შედეგების რუკები);
16. დაწესებულებაში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ჩამონათვალი:
ბ) პროგრამაზე არსებული სტუდენტთა რაოდენობის, აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის მითითებით;
17. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრიის მონაცემები სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ. (MES 3 23 0001333661, 09/10/2023)

- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს სახალხო დამცველის აპარტიდან შემოსული (შიდა წერილი №1036990, 25.08.2023 წ.) კორესპონდენციის საფუძველზე „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმოდგინა ინფორმაციის მოთხოვნილი დოკუმენტების შესახებ (MES 0 23 0001073612, 04/09/2023)
- სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის /პროფესიული და უმაღლესი განათლების სამსახურიდან სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემოსული კორესპონდენციის (შიდა წერილი №819139, 04.07.2023 წ.) საფუძველზე უსდ-მ წარმოადგინა ამ დროისათვის უნივერსიტეტში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციას. კერძოდ:

1. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია;
2. საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური;
3. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსის შესახებ;
4. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭებისა და ვადის გასვლის თარიღი;
5. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა (MES 3 23 0000885796, 16/07/2023 წ.)

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის 3 წლიანი ანგარიშის წარდგენის შემდეგ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფისგან (შიდა წერილი # 165872, 06.12.2023 წ.) უსდ-ს განესაზღვრა შვიდი რეკომენდაცია და ერთი რჩევა, რომელთა შესრულებაზე უსდ-მ განაგრძო მუშაობა. რეკომედაციების შესრულება ასახულია თვითშეფასების ანგარიშში სტანდარტების ქვეკომპონენტების შესაბამისად. რეკომენდაციების შეჯამება:

რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პრაქტიკაში განახორციელოს დაგეგმილი ორგანიზაციული ცვლილებები და შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების დროულად ჩამოყალიბება, რათა უზრუნველყოფილ იქნას სტრატეგიული მიზნებისა და სამოქმედო გეგმის ეფექტიანად შესრულება.

რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება:

- ავტორიზაციის ექსპერტთა აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება უსდ-მ მიზნად დაისახა, მისი პირველივე გაცემისთანავე. ამ პერიოდში უსდ-მ იმუშავა სტრუქტურის პროექტზე და დოკუმენტში „სსიპ - სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ ცვლილებების ასახვის საკითხებზე. მოგვიანებით დოკუმენტში „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ ცვლილებები განხცორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №157/ნ - ვებგვერდი, 29.12.2023წ. საფუძველზე. უსდ უფლებამისილია შეუდგეს რესტრუქტურიზაციის პროცესებს „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნვერსიტეტის ადმინსიტრაციული და დამხმარე პერსონალის საშტატო ერთეულების განრიგის“ პროექტის შესაბამისად. აღნიშნულთან დაკავშირებით, უსდ-ს მიერ დაგეგმილი შეხვედრები საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან: ადმინისტრაციული, აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებული, დამსაქმებლები და სხვ. დაინტერესებული პირები უკვე დაწყებული აქვს და პროცესი მიმდინარეობს. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს და დანერგოს მოწვეული პერსონალის და დოქტორანტების ინგლისური ენის კომპეტენციის გაუმჯობესების ქმედითი მექანიზმები.

რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება: ინგლისური სწავლებიის ასისტენტი ფულ ბრაითელისა და „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისე პროგრამების ფარგლებში უსდ- დოქტორანტებსა და პერსონალს სთავაზობს ინგლისური ენის გადამზადების კურსებს.

რეკომენდებულია, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშება იყოს ნათელი და გამჭვირვალე და ითვალისწინებდეს უნივერსიტეტის მიერ განსაზრვრულ ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებს.

რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, დოკუმენტში „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია“ სხვა უსდ-ების კარგი პრაქტიკის გათვალისიწინებით განხორციელდა ძირეული ცვლილებები (#392920, 04.04.2024 წ.) და ფორმულირებები ჩამოყალიბდა უნივერსიტეტის მიერ განსაზღვეული ინდიკატორისა და სამიზნე ნიშნულების შესაბამისად.

„სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია“ მოიცავს შემდეგ მუხლებს:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები მუხლი 2. სტუდენტთა კონტინგენტის განმსაზღვრელი ფაქტორები; მუხლი 3. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორების

მიხედვით სტუდენტთა კონტინგენტის გამოთვლა; მუხლი 4. უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა.

სრულად განხორციელდეს ელექტრონული პროცესის მართვის სისტემის გამართვა. გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსის წესები, მონაწილეთა ანგარიშვალდებულებები, საკონკურსო განაცხადების შეფასების კრიტერიუმები და ა.შ ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული მხარეებისთვის დაწესებულების ვებ-გვერდის საშუალებით.

რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება:

 უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კონცეფცია“ („დამტკიცებულია” სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, 20.12.2020 წ, დადგენილება №80), რომლის მიზანია, საუნივერსიტეტო კვლევითი საქმიანობის, სამეცნიერო კვლევის ორგანიზებისა და განვითარების მხარდაჭერის მექანიზმების, კვლევის განმახორციელებელი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების, კვლევის მიმართულების განსაზღვრა და კვლევითი საქმიანობის განხორციელების ზოგადი პოლიტიკის ჩამოყალიბება. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულობა არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის ხარისხის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი. აღნიშნულ დოკუმენტში მნიშვნელვანი ცვლილებები განხორციელდა სსიპ სამცხეჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 24.02.2022 წლის დადგენილება №19 საფუძველზე. დოკუმენტში გარკვეული ადგილი დაეთმო შიდა სამეცნიერო კვლევითი გრანტების მნიშვნელობის, წარმოდგენისა და განხორციელების ვადების შესახებ საკითხებს, როგორც წესი, ასევე ინფორმაცია, კონკურსების გამოცხადების შესახებ, განთავსდა უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

უზრუნველოფილი იქნეს აკადემიური პერსონალის რიგების ახალგაზრდა კადრებით შევსება აკადემიური თანამდებობებზე კონკურსების გამოცხადების გზით.

რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება:

- აკადემიური პერსონალის რიგების ახალგაზრდა კადრებით შევსება აკადემიური თანამდებობებზე ხდება კონკურსების გამოცხადების გზით. საანგარიშო პერიოდში ახალგაზრდა კადრებით შეივსო განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ქართული ფილოლოგიისა და ისტორიის მიმართულებით, იურიდიული ფაკულტეტი, საჯარო მმართველობის მიმართულებით. ცალსახად რეკომდაცია თავისი შინაარსით მუდმივად საყურადღებოა, რაც ცალსახად უსდ-ს განვითარებას შეუწყობს ხელს.

რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა იმუშაოს კვლევის ინტერნაციონალიზაციის მიზნით შემუშავებული ოფიციალური მექანიზმების აღსრულებასა და იმპლემენტაციაზე. კვლევის ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, მაგალითად, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე წვდომა, გამოქვეყნების პროცედურების გამარტივება უნდა აისახოს შედეგებსა და პროფესორების/მკვლევრების პირად საქმეებში. ოფიციალური ინსტრუმენტი უნდა გახდეს ქმედითი და შედეგიანი.

რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება:

- დისტანციური წვდომის უზრუნველსაყოფად ა(ა)იპ საქართველოს ინტეგრირებული საინფორმაციო კონსორციუმი 2017“-თან დადებული ხელშეკრულება #2024/002 (23.02.2024წ.)-ის საფუძველზე შეძენილია პროგრამული უზრუნველყოფის და მომსახურების Éclat Engineering - ის პროდუქტი - სამეცნიერო ელექტრონული ბაზების დისტანციური წვდომის მისაღებად - RemoteXs (დისტანციური წვდომის პორტალი)

- 20 მარტს ჩატარდა პირველი RemoteXs ადმინისტრატორის ტრენინგი, სადაც წარმოდგენილი იყო როგორ უნდა დაარეგისტრიროს პორტალის ადმინმა სხვა მომხმარებელი (ჩანაწერის ლინკი https://drive.google.com/file/d/1AdX6-l1pKh3uNnYO33M0hOhXfEU79JU/view)
- პორტალი უკვე ჩაშენებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდის სივრცეში.
- https://shorturl.at/mAYZ8
- https://elibrarysjuni.remotexs.co/home
- 2024 წლის 4 აპრილს, საქართველოს ბიბლიოთეკების საინფორმაციო ქსელის კონსორციუმის ლიცენზირების კოორდინატორმა, მეცნიერული და საცნობარო სერვისების განყოფილების უფროსმა, Eifl-ის ლიცენზირების კოორდინატორი ქართულ კონსორციუმში – GILISC – მარიკა ჟორჟოლიანმა, ჩაატარა ონლაინ ტრენინგი – RemoteXs – ზე (დისტანციური წვდომის პორტალი) რეგისტრაციისა და საჭირო რესურსების დისტანციურად წვდომის შესაძლებლობებზე. RemoteXs – (დისტანციური წვდომის პორტალი) უზრუნველყოფს საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე წვდომა განხორციელდეს მომხმარებლისთვის – უნივერსიტეტის გარეთ, ნებისმიერი ადგილიდან.
- ონლაინ ტრენინგს ორგანიზება გაუწია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ. შეხვედრა იყო შერეულ ფორმატში, ნაწილი მსმენელების სამეცნიერო ბიბლიოთეკის დარბაზში დაესწრო შეხვედრას, ნაწილი ონლან ჩაერთო.
- https://sjuni.edu.ge/%e1%83%9d%e1%83%9c%e1%83%9a%e1%83%90%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%a2%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%9c%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%92%e1%83%98-remotexs-%e1%83%93%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%aa/
- ტრენინგ-ვორკშოპი ETHICS-Erasmus+-ის ფარგლებში
- 2024 წლის 18 მარტს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის, ETHICS-Erasmus+-ის („კვლევის პასუხისმგებლობით წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში"; კოორდინატორი-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) ფარგლებში ჩატარდა ტრენინგ-ვორკშოპი თემაზე: აკადემიური კეთილსინდისიერება, ხელოვნური ინტელექტი და კვლევის კეთილსინდისიერად წარმართვის პოლიტიკა (გამოწვევები და საერთაშორისო გამოცდილებები). ტრენინგს უძღვებოდნენ ამავე პროექტის ფარგლებში, კვლევის ოფიცრების მოსამზადებელ ტრენერთა ტრენინგზე (TOT), ევროპელ პარტნიორთა მიერ გადამზადებული სტაფი: პროფესორი თინა გელაშვილი (პროექტის მენეჯერი), ასოც. პროფესორი-მაკა მურვანიძე და მასწავლებელი-თეონა ჟუჟუნაძე.
- ტრენინგს ესწრებოდა 67 (სამოცდაშვიდი) მაგისტრანტი, დოქტორანტი და აკადემიური პერსონალი.
- https://sjuni.edu.ge/%e1%83%a2%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%9c%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%92-%e1%83%95%e1%83%9d%e1%83%a0%e1%83%99%e1%83%a8%e1%83%9d%e1%83%9e%e1%83%98-ethics-erasmus-%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%a4%e1%83%90%e1%83%a0/ ტრენინგი სამეცნიერო ელექტრონული ბაზების შესახებ
- 2024 წლის 5 და 7 მარტს 402 აუდიტორიაში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტექნიკურმა ხელმძღვანელმა ხათუნა კვინცხაძემ, განათლების, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩაატარა ტრენინგი თემაზე: „საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებში რესურსების ძიების უზრუნველყოფა" და ETHICS - Erasmus+ პროექტის ფარგლებში „მკვლევართა მხარდამჭერი გარემოს ფორმირებისთვის სანდო ელექტრონული რესურსების გამოყენება" ტრენინგის ბოლოს განხილული იქნა პრაქტიკული მაგალითები და ამ პროცესში მონაწილეობა მიიღო ყველა მონაწილემ.
- ხოლო 2024 წლის 6 მარტს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში 208 აუდიტორიაში, შედგა სამუშაო შეხვედრა ბიზნესის ადმინისტრირებისა და ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების

სტუდენტებისთვის. შეხვედრის მიზანი იყო – „სამეცნიერო ნაშრომის მომზადების პროცესში საჭირო ტექნიკური რეკომენდაციები და ამ რეკომენდაციების პრაქტიკულად გამოყენების სწავლება“. დაიგეგმა სამომავლო შეხვედრები სხვა საჭირო რეკომენდაციების პრაქტიკული გამოყენების სწავლებისთვის.

- ასევე დაიგეგმა საერთაშორისო ელექტრონულ ბაზეზე დისტანციური წვდომის მისაღებად საჭირო რეკომენდაციები, ეს პროგრამული უზრუნველყოფა ახლახან შეიძინა უნივერსიტეტმა და RemoteXs პორტალის ჩვენს ვებ-გვერდზე ჩაშენების შემდეგ, ინტენსიურად ჩატარდება სამუშაო შეხვედრები მისი გამოყენების შესასწავლად.
- https://sjuni.edu.ge/%e1%83%a2%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%9c%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%92%e1%83%98-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%aa%e1%83%9c%e1%83%98%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%9d-%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%a5/
- 2024 წლის 13 მარტს ჩატარდა ინდივიდუალური ვორქშოპი ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტებთან, სამუშო შეხვედრის თემა იყო „მკვლევართა მხარდამჭერი გარემოს ფორმირებისთვის სანდო ელექტრონული რესურსების გამოყენება“. https://shorturl.at/nvKN6

6.3

რეკომენდებულია, შეიქმნას სტრუქტურული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელი იქნება უნივერსიტეტის როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კვლევით საქმიანობაზე და შედეგებზე.

რეკომენდებულია, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის შემუშავდეს ქმედითი თვითშეფასების ფორმა, რომელშიც აკადემიურ პერსონალს ასახული ექნება ინფორმაცია კვლევითი საქმიანობის, საერთაშორისო კვლევების შესახებ და სხვ. შესაბამისი სტრუქტურული ერთეული თვალყურს უნდა ადევნებდეს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კვლევით საქმიანობას და, საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულება მაქსიმალურად ეხმარებოდეს მათ კვლევის წარმართვაში.

რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება:

აღნიშნული რეკომედაციები მეტად მნიშვნელოვანია კვლევითი საქმიანობის განხორციელების მიზნით. უსდ რეკომენდაციას სრულყოფილად შეასრულებს სტრუქტურის ცვლილებისთანავე, რომლის განხილვა ამ ეტაპზეც მიმდინარეობს.

7.3

რეკომენდებულია, დაწესებულებამ შექმნას ელექტრონული სწავლების პლატფორმა, რომელშიც თავმოყრილი იქნება ყველა ის მასალა და საჭირო ინფორმაცია, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას და გამართულობას.

რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე შემდგომ გამოთხოვილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად, დაწესებულებამ გამოიკვლია სტუდენტთა კმაყოფილება სასწავლო პლატფორმების კმაყოფილებასთან და მოლოდინებთან დაკავშირებით და ნაბიჯები იქნა გადადგმული სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის ინფორმირებულობის გაზრდა, გამოყენების ინსტრუქციები და სხვ.

თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ონლაინ პლატფორმა Moodle და Drive არ იძლევა შესაბამის შესაძლებლობას სტუდენტებმა სრული ელექრონული ხელშეწყობა მიიღონ. Moodle-სისტემა მეტწილად ორიენტირებულია პლაგიატის პრევენციის დადგენაზე, რაც დასტურდება პლატფორმის ,,შესახებ'' ინფორმაციაშივე. აღნიშნულ პლატფორმას დამხმარედ აქვს ჩაშენებული სასწავლო მასალების მასში ჩაშენების თუ კომუნიკაციის მექანიზმები. მაშინ, როცა Drive არ არის აკადემიური პლატფორმა, მასში შეღწევადობა გარეშე პირისთვის არ წარმოდგენს სირთულეს და იგი არ იძლევა საშუალებას სტუდენტებთან სრულმასშტაბიანი კომუნიკაციისა.

დაწესებულების გეგმების გათვალისწინებით, უსდ-ს მიაჩნია, რომ დაწესებულებამ უნდა შექმნას საკუთარი Software პლატფორმა, რომელშიც ჩაშენებული იქნება, როგორც Moodle, ასევე Drive სისტემები

და მას დაემატება ისეთი არხები, როგორებიცაა სტუდენტებთან კომუნიკაციის, კურსების არჩევის, ცხრილების, სასწავლო გარემოს, სილაბუსების და სხვ. ნახვა-გაცნობის შესაძლებლობა.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განსაკუთრებული ყურადღება დათმობილი აქვს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის საკითხებს. მნიშვნელოვნად განახლდა დოკუმენტი: „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კონცეფცია“ (დამტკიცებულია სსიპ – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №80 დადგენილებით "20" "12" 2020 წ.); სსიპ სამცხეჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის კონცეფციის მიზანია, საუნივერსიტეტო კვლევითი საქმიანობის, სამეცნიერო კვლევის ორგანიზებისა და განვითარების მხარდაჭერის მექანიზმების, კვლევის განმახორციელებელი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების, კვლევის მიმართულების განსაზღვრა და კვლევითი საქმიანობის განხორციელების ზოგადი პოლიტიკის ჩამოყალიბება. აღნიშნული დოკუმენტის მუხლი 4. კვლევის პრინციპები, პუნქტი 4.1 სამეცნიერო მოღვაწეობის თავისუფლება - სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი სამი ღირებულებიდან პირველი თავისუფლებაა, რაც კვლევითი საქმიანობისას სამეცნიერო მოღვაწეობის თავისუფლებაში ვლინდება. უნივერსიტეტი პრინციპად იღებს მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლს, რომელიც მეცნიერის გარანტიებს ეხება და სადაც აღნიშნულია, რომ მეცნიერს უფლება აქვს:
ი განახორციელოს მეცნიერული კვლევა-ძიება გარედან ნებისმიერი ჩარევის გარეშე და გამოქვეყნოს კვლევის შედეგები წინასწარი განწყობების გაუთვალისწინებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამგვარი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან კვლევები სახელმწიფო საიდუმლოს შემცველია; ი დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო გამოკვლევის შინაარსი, მეთოდები და საშუალებები. ხოლო მუხლი 5. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმები, მოიცავს ინფორმაციას: ეთიკა სამეცნიერო სამყაროში კეთილსინდისიერი სამეცნიერო კვლევის მნიშვნელოვანი საყრდენია. თანამშრომლებსა და სტუდენტებს უნივერსიტეტი სახელმძღვანელო პრინციპებად უწესებს ეთიკის პრინციპების დაცვას, სადაც უპირველესი აკადემიური კეთილსინდისიერებაა, რაც პლაგიატის თავიდან აცილების საშუალებას წარმოადგენს. უნივერსიტეტში პლაგიატის წინააღმდეგ რეგულაციების მთავარი მიზანი ქმედითი პრევენციული ღონისძიებების გატარებაა. იგივე მუხლი მოიცავს ინფორმაციას: ა) ავტონომიის პრონციპების, ბ) სარგებლიანობისა და უვნებლობის პრინციპის და გ) სამართლიანობის პრონციპების შესახებ, ხოლო მუხლში 6. ეთიკის კომიტეტის მიზანი, ამოცანები და ფუნქციები, გაწრილია ეთიკის კომიტეტის მიზანი და ამოცანები, მუხლში 7. ეთიკის კომიტეტის შემადგენლობა, დანიშვნა და ფორმირების წესი, მუხლში 8. ეთიკის კომიტეტის მუშაობის წესი და სხვ. რაც ცალსახად ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია უნივერსიტეტის მხრიდან აკადემიური კეთილსინდისიერების პრონციპების დაცვის მიზნით.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება შემდეგი აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:

1. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 15/02/2023წ. №178400);
2. ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 03/02/2023 წ. №124110);
3. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 03.02 2023 წ. №124113);
4. მასწავლებლის მომზადების პროგრამა აკრედიტებული (აკრედიტებული - 17.03

2016 წ. №1);

5. ქართულ ენაში მომზადების პროგრამა (აკრედიტებული - 24.01. 2019 წ. №25);
6. დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 08.08 2018 წ. №97);
7. ქართველური ენათმეცნიერება სამაგისტრო საგანამათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 15/02/2023წ. №178419);
8. ქართული ლიტერატურის ისტორია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 15/02/2023წ. №178427);
9. საქართველოს ისტორია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 03/02/2023 წ. №124110); 10.ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა (აკრედიტებული - 15/02/2023 წ. №178409);

11.საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამა (აკრედიტებული - 03/02/2023; №124112).

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:

1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 26.11 2018 წ. №164);
2. ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 03.10 2019 წ. №186);
3. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 26.11 2018 წ. №165);
4. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა (აკრედიტებული - 19.12 2019 წ. №244).

იურიდიული ფაკულტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:

1. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 19.03.2021; №258054);

2. საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 07/07/2023; №848607).

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 11.09.2020 წ. №820912);
2. ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 24/06/2022წ. № 702716);
3. აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 01.02. 2021 წ. №49696);

4. ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული 30.11.2020 წ. №1138282);

5. აგროტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 29.01. 2021 წ. №43852);

6. ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 07.06. 2021 წ. №531518);

7. ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 19.12.2019 წ. №241);
8. ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (პირობით აკრედიტებული 04/11/2022; №1425389);

9. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასტრონომიის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული 01/11/2022, №1385347);
10. Astronomy Joint Doctoral Programme of LEPL Samtskhe-Javakheti State University and LEPL E. Kharadze National Astrophysical Observatory (01/11/2022; №1385348)
11. ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამა (აკრედიტებული - 28.06. 2016 წ. №28);
12. აგრონომიის სადოქტორო პროგრამა (აკრედიტებული - 28.06. 2016 წ. №29).

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის მდგომარეობით უნივერსიტეტში 29 აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამიდან, სადოქტორო საფეხურზე რვა პროგრამაა, მათ შორის ოთხი ახალი, ერთი პროგრამა კი - ინგლისურენოვანი, ხოლო პროგრამების აბსოლუტურმა უმრავლესობამ აკრედიტაცია მოიპოვა ავტორიზაციის საანგარიშო პერიოდში (2020-2023 წწ.). ამავე პერიოდში უსდ-მ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ერთწლიანი და სამწლიანი ანგარიშები, რომლებიც უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გარდა შეაფასეს გარე შემფასებლებმა, მათი უმრავლესობა კი უცხოელმა ექსპერტებმა და კოლეგებმა.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ერთიან დოკუმენტში მოაქცია ქართული ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული ოთხი პროგრამის, ისტორიის კლასტერში დაჯგუფებული სამი პროგრამის, ინდივიდუალური ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის, საჯარო მმართველობის საბაკალავრო და სხვ. პროგრამების ხარისხის შიდა და გარე შეფასების შედეგების ანალიზი, რომელშიც აღწერილია პროგრამის განვითარების მხრივ განხორციელებული აქტივობები, პროგრამის ხელმძღვანელის ლექცია/სემინარზე სწავლება/სწავლის პროცესებზე დაკვირვების პროცესის შედეგები, აკადემიური/მოწვეული პერსონალის ურთიერთდასწრების, ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების კმაყოფილების და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კვლევის შედეგები, სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსების შეფასებისა და გამოკითხვების ჯამური ანალიზის შედეგები. სასწავლო გეგმაში ცალკეული სასწავლო კურსების დამატების/ამოღების თაობაზე მოსაზრებების გენერირების პროცესში გამოკვეთილი საჭიროებების და ახალი სასწავლო კურსების მომზადების შესახებ ინფორმაციები.

რაც შეეხება გარე შეფასებას, მაგალითისთვის წარმოგიდგენთ: ქართული ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები გარე შეფასების მიზნით გაეგზავნა როგორც ქართულ, ისე უცხოურ უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებს, რომელთაგან ამ ეტაპზე მიღებულია რამდენიმე გამოხმაურება. უკანასკნელ წლებში დამკვიდრებული გამოცდილებით ქართული ფილოლოგიის კლასტერის პროგრამების გარე შეფასებები პროგრამის შემუშავების და განვითარების თანამდევი პროცესია. განსაკუთრებისთ ეს ეხება ქართული ფილოლოგიის სადოქტორო საფეხურის პროგრამას. ამჟამად მოქმედი ქართული ფილოლოგიის პროგრამა ითვალისწინებს იმ რეკომენდაციებს, რომელიც ჯერ კიდევ 2018 წლიდან დაფიქსირდა გარე შეფასებებში, რა თქმა უნდა, ქართულ და საუნივერსიტეტო რეალობაზე მორგებით.

ასევე ყურადღებით ანალიზდება პროგრამის დადებით მხარედ შეფასებული ასპექტები და პროგრამების მოდერნიზებისას ისინი ნარჩუნდება. მაგალითად, ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე კანადის კალგარის უნივერსიტეტიდან მიღებული გარე შეფასება ხაზს უსვამს დისერტაციის დაცვამდე გამოცდის ჩაბარების აუცილებლობას, რაც ქართულ სადოქტორო პროგრამაში აისახა როგორც დისერტაციის წინასწარი განხილვის პროცესი. რეკომენდაციის შესაბამისად დაიხვეწა სწავლების შედეგებიც.

მნიშვნელოვანი იყო გერმანიის ფრანკფურტის უნივერსიტეტიდან მიღებული გამოხმაურება, რომელიც ხაზს უსვამდა პროგრამებში დიგიტალური ჰუმანიტარიის მიმართულებით სასწავლო კურსების მნიშვნელობას და უცხოეთში მოღვაწე პროფესორის ჩართულობას პროგრამაში. გამოხმაურების შემდეგ

კონტაქტები გაღრმავდა და გაფართოვდა პროფესორთან თანამშრომლობის სფერო, მოიცვა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებიც.

ყურადღება გამახვილდა თურქეთის კავკასიის უნივერსიტეტიდან მიღებულ გამოხმაურებაზე, პოზიტიური საკითხების გვერდით საყურადღებოა თურქეთის კავკასიის უნივერსიტეტთან სამომავლო ერთობლივი პროექტების განხორციელება, მაგ. სემინარები, კონფერენციები, პანელები, ვებინარები, სიმპოზიუმები, სტუდენტების და აკადემიური პერსონალი გაცვლა.

ათენის ქართული ინსტიტუტისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრ „კავკასიის“ გამოხმაურებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხაზგასმა კლასტერის ფარგლებში განსაზღვრული კვლევითი მიმართულებების სწორად განსაზღვრაზე სამცხეჯავახეთში არსებულ უნივერსიტეტში, რამდენადაც „აღნიშნული რეგიონი არის ენათა და კულტურათა ერთგვარი გზაჯვარედინი და სასაზღვრო რეგიონი. დარწმუნებული ვართ, სტუდენტთა კვლევებში გამოყენებული იქნება არა მხოლოდ ქართული, არამედ სომხური, თურქული, ბერძნული და სხვა ენობრივი თუ ეთნო-დიალექტოლოგიური მონაცემები, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანს გახდის მათ განხორციელებას. დღევანდელ გლობალურ ეპოქაში ქართული ენისა და ლიტერატურის, ონომასტიკის და დიალექტოლოგიის მაღალ დონეზე შესწვლა და კვლევა წარმოაჩენს ერთდროულად მის ეროვნულ და ინტერნაციონალურ ხასიათს“.

განსაკუთრებით საინტერესო ქართული უნივერსიტეტებიდან მიღებული გამოხმაურების ანალიზია, მათში კლასტერის ფარგლებში დაჯგუფებული პროგრამების მნიშვნელობა გააზრებულია უნივერსიტეტის მისიის კუთხით, ქართულ-სომხური ურთიერთობების კვლევის, ურთიერთობების გაღრმავებისა და ინტეგრაციის ხელშეწყობის ჭრილში. ამის ხაზგასმა ზრდის უნივერსიტეტის პასუხისმგებლობას პროგრამების განხორციელების პროცესში. ასევე გასაზიარებელი და აქტიურ საქმიანობად გასაწერია გარე შეფასების კიდევ ერთი რეკომენდაცია, რომელიც მოიაზრებს მეტ საერთაშორისო კონტაქტებს, ასევე მეტ კონტაქტებს პროგრამის ფარგლებში საქართველოს პარტნიორ უნივერსიტეტებთან როგორც აკადემიურ, ისე სამეცნიერო დონეზე. სხვადასხვა დროს და განსაკუთრებით კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების გარე შეფასების პროცესი, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების კოორდინაციით მიმდინარეობდა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობითვე გაიწერება აქტივობებად, დაკლასიფიცირდება ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებად და აკრედიტაციის პროცესის დასრულების შემდეგ შედეგების გათვალისწინებით მათი განხორციელების მონიტორინგი წარიმართება უკვე ხარისხის შიდა მექანიზმების ფარგლებში.

ეს პროცესი ბოლო პერიოდში უწყვეტად მიმდინარეობს და უსდ-ს აკრედიტაციაზე არ
წარუდგენია არცერთი პროგრამა, რომელსაც გარე ხარისხის შეფასება არა აქვს მიღებული. აღსანიშნავია, რომ თითოეულ პროგრამაში გათვალისწინებულია გარე შეფასებისას მიღებული რჩევები ან რეკომენდაციები, თუმცა ხშირ შემთხვევაში პროგრამებს აფასებდნენ საკმაოდ დადებითად.

პროგრამების განვითარების პროცესისთვის დიდი ყურადღება ეთმობა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით შემოთავაზებულ ცვლილებებს. „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის № 3 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №105/ნ ბრძანების საფუძველზე ცვლილებები განხორციელდა „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებებში, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მომზადების ინსტრუქციაში; სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
„საბაკალავრო პროექტის/ნაშრომის შემუშავების ინსტრუქცია და შეფასების
კრიტერიუმებში“. ამავე ბრძანებისა და სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-16 მუხლში, „სტუდენტის შეფასების წესში“

შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, სტუდენტის შეფასების ნაწილში ცვლილებები შევიდა აბსოლუტურად ყველა პროგრამასა და სილაბუსებში, რომლებიც აკრედიტებული იყო აღნიშნული ბრძანების ძალაში შესვლამდე („სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №25, 26.07.2022 წ. ოქმი №6).

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეებთან: დამსაქმებლები, აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, არაერთი შეხვედრის შემდეგ ცალკეულ პროგრამებთან მიმართებით გამოიკვეთა პროგრამების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, რის გამოც აკრედიტაციაზე წარდგენამდე რამდენიმე პროგრამაში მათი არგუმენტირებული ინტერესის გათვალისწინებით მოხდა სასწავლო კურსების დამატება ან ზოგიერთი სასწავლო კურსის სტატუსის შეცვლა. კერძოდ, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსიდან გადატანილი იქნა არჩევით სასწავლო კურსებში ან პიროქით. უდიდესი ყურადღება ექცევა პროგრამეში შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლების ასახვას.

საანგარიშო პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე აკრედიტაცია მოიპოვა შემდეგმა პროგრამებმა:

1. „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 15/02/2023წ. №178400);
2. ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 03/02/2023 წ. №124110);
3. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 03.02 2023 წ. №124113);
4. ქართველური ენათმეცნიერება სამაგისტრო საგანამათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 15/02/2023წ. №178419);
5. ქართული ლიტერატურის ისტორია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 15/02/2023წ. №178427);
6. საქართველოს ისტორია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 03/02/2023 წ. №124110);

7.ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა (აკრედიტებული - 15/02/2023 წ. №178409);

8.საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამა (აკრედიტებული - 03/02/2023; №124112).

აღსანიშნავია, რომ თითოეულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული გადაწყვეტილების საფუძველზე, აკრედიტაციის მინიჭებიდან ერთი წლის მანძილზე განსაზღვრული იყო ანგარიშების წარმოდგენა, რომელიც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა ვადების დაცვით წარუდგინა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეებთან: დამსაქმებლები, აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, არაერთი შეხვედრის შემდეგ ცალკეულ პროგრამებთან მიმართებით გამოიკვეთა პროგრამების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, რის გამოც აკრედიტაციაზე წარდგენამდე რამდენიმე პროგრამაში მათი არგუმენტირებული ინტერესის გათვალისწინებით მოხდა სასწავლო კურსების დამატება ან ზოგიერთი სასწავლო კურსის სტატუსის შეცვლა. კერძოდ, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსიდან გადატანილი იქნა არჩევით სასწავლო კურსებში ან პიროქით. უდიდესი ყურადღება ექცევა პროგრამებში შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლების ასახვას.

ხოლო ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1 წლისა და 6 თვის ვადით 04/11/2022; №1425389), რის გამოც საანგარიშო პერიოდში მომზადდა ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და 2023 წლის 4 ნოემბერს წარდგენილი იქნა აკრედიტაციაზე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

პროგრამების მუდმივი მონიტორინგის მსვლელობისას გამოიკვეთა დამსაქმებლებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების/ხელშეკრულებების გადხედვის/განახლების და ახალი მემორანდუმების/ხელშეკრულებების გაფორემის საკითხი. ზოგიერთ შემთხვევაში ეს საკითხი უკავშირდებოდა აკრედიტაციის რჩევების ან რეკომედაციების შესრულებასაც, ზოგიერთ შემთხვევაში კი ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის საკითხს. ასეთი ხელშეკრულებები გაფორმდა როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოეთის სამეცნიერო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლის ფარგლებში პროგრამების შემუსავების პროცესში შედგა შეხევდრები როგორც ონლაინ, ასევე პირისპირ რეჟიმში.

გარკვეულ დარგებთან მიმართებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულია დარგობრივი მახასიათებლები, რომლის შინაარსის ასახვაც მოხდა პროგრამებში. პროგრამების განვითარების საკითხს უკავშირდებოდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების მოდიფიცირება და კიდევ უფრო დაახლოვება აკრედიტაციის სახელმძღვანელოს გაიდლაინებთან, რომელიც აისახა პროგრამებში და სწავლის შედეგების შეფასება თითოეულ პროგრამაში ხდება ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით. პროგრამების სასწავლო კურსებში სისტემატურად ხდება სასწავლო მასალის, სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის განახლება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელები მუდმივად იღებენ განახლებულ ინფორმაციას უსდ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკიდან. თვითონ უსდ უზრუნველყოფის უნივერსიტეტის პერსონალის სახელმძღვანელოების, ცნობარების, ლექსიკონების, მონიგრაფიების დაბეჭდვას. გარდა აღნიშნულისა, ამ ეტაპზე Erasmus + CBHE Development of Veterinary Faculties at Georgian HEIs to Create a New Pool of Young Veterinary Professionals in Georgia. ERASMUS-EDU-2022-CBHE-STRAND 1-101082479“ პროექტის ფარგლებში გამოყოფილი იქნა 144 500 ლარი, რომელიც მოხმარდა 26 უცხოენოვანი და 54 ქართულენოვანი დასახელების (251 ეგზემპლარი) სახელმძღვანელოების შეძენას, რომლის მყისიერი ასახვა მოხდება სასწავლო კურსების სილაბუსებში.

„სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფი მექანიზმების“ დანართი 1-ის (აქტივობა-კვლევა, პერიოდი, სტრატეგიული მიზანი და ამოცანები) შესაბამისად, უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ ყოველსემესტრულად/ ყოველწლიურად ხდება აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების (პირველკურსელების, ბაკალავრების, მაგისტრანტების, დოქტორანტების) კმაყოფილების კვლევა, სტუდენტთა მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება და პერსონალის მხრიდან მათზე უკუკავშირი, აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა/პარტნიორთა კვლევა, ერთ-ერთი ასეთი კვლევის (საჯარო მმართველობის საბაკალვრო პროგრამა) პერიოდში დამსაქმებელმა გამოთქვა უნივერსიტეტთან მოწვეული სპეციალისტის სტატუსით თანამშრომლობის სურვილი.

უსდ მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს აღნიშნულ კვლევებს, ერთი მხრივ, მათზე მყისიერი უკუავშირისთვის, მეორე მხრივ, სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნის, სტუდენტთა მხარდამჭერი მექანიზმების გაძლიერების, უნივერსიტეტზე ნეგატიური გამოხმაურების/მოსაზრების რისკის პრევენციის, უნივერსიტეტის მიერ პიარკამპანიის სწორად ორგანიზების, სტუდენტთა გადინების რისკის კატეგორიის პრევენციის, აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით მხარდამჭერი ან/და წამახალისებელი მექანიზმების გამოკვეთის, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის და სხვ მიზნით; საბოლოო ჯამში კი სწავლება/სწავლის ხარისხის ამაღლების მიზნით.

ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია:

შეადგინეთ წინაპირობები ბაკალავრიატის სტაჟირებისთვის, ჯგუფური პროექტებისთვის და სამაგისტრო პრაქტიკისთვის, რადგან ეს საქმიანობები ეხება წინარე სწავლის გამოყენებას.

- რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება:

კონკრეტულად რეკომენდაციასთან დაკავშირებით უსდ წარმოგიდგენთ დაწვრილებით ინფორმაციას უნივერსიტეტში მოქმედი საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში როგორ არის განაწილებული/განსაზღვრული და დაცული პრაქტიკული/სასწავლო (საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი) და სამეცნიერო კომპონენტებზე დაშვების წინაპიროებები. კერძოდ:

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე
„ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში (აკრედიტებული - 15/02/2023წ. №178400) პრაქტიკული კომპონენტი და კვლევის ელემენტები წარმოდგენილია შემდეგი სასწავლო კურსებით: ქართული ენის პრაქტიკული კურსი და მეტყველების კულტურის საკითხები, ქართული დიალექტოლოგიის პრაქტიკული კურსი, საველე კვლევის მეთოდები და პრაქტიკა, ხოლო სწავლის შედეგების საბოლოოდ მისაღწევად, სტუდენტმა უნდა დაიცვას საბაკალავრო ნაშრომი (10 კრედიტი), რომლის დაცვა ხდება უსდ-ს მიერ შემუშავებული „საბაკალავრო პროექტის/ნაშრომის შემუშავების ინსტრუქცია და შეფასების კრიტერიუმების“ შესაბამისად.

ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში (აკრედიტებული - 03/02/2023 წ. №124110)
საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას სავალდებულო სახე არა აქვს მიცემული. სტუდენტს შეუძლია აირჩიოს საბაკალავრო ნაშრომის (10 კრედიტი) შესრულება ან აირჩიოს მასთან დაწყვილებული ორი სასწავლო კურსი 5-5 კრედიტის მოცულობით, 1. ისტორიის თეორია და მეთოდოლოგია და 2. საარქივო და სამუზეუმო საქმე.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში (აკრედიტებული - 03.02 2023 წ. №124113) საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას სავალდებულო სახე არა აქვს მიცემული. სტუდენტს შეუძლია აირჩიოს საბაკალავრო ნაშრომის (10 კრედიტი) შესრულება ან აირჩიოს მასთან დაწყვილებული ორი სასწავლო კურსი 5-5 კრედიტის მოცულობით, 1. ინგლისურენოვანი ტექსტის რეფერირება-რეცენზირება (დაშვების წინაპირობაა სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“) და 2. ინგლისური ენის კომპეტენცია FCE (დაშვების წინაპირობაა სასწავლო კურსი „ინგლისური ენა VII“). საბაკალვრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობაა ინგლისური ენის ფონეტიკა, ინგლისური ენის ლექსიკოლოგია, ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა, ინგლისური ენის ისტორია, ინგლისური ენის სტილისტიკა. ინგლისური ლიტერატურის ისტორია.

მასწავლებლის მომზადების პროგრამაში (60 კრედიტიანი) (აკრედიტებული - 17.03 2016 წ. №1) პრაქტიკის მოდული წარმოდგენილია 10 კრედიტის მოცულობით და შედეგაბ 5-5 კრედიტიანი სასწავლო კურსებისაგან: 1. სასკოლო პრაქტიკა 1 და 2. სასკოლო პრაქტიკა 2. სასკოლო პრაქტიკა 2-ზე დაშვების წინაპირობაა სასკოლო პრაქტიკა 1.

დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავროსამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული - 08.08 2018 წ. №97) 60 კრედიტის მოცულობის სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდულს, რომელშიც გათვალისწინებულია 8 სემესტრიანი პრაქტიკა, ყოველის სემესტრის პრაქტიკა მომდევნო სემესტრში პრაქტიკის წინაპირობაა, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობაა პრაქტიკა 8.

ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში (აკრედიტებული - 15/02/2023წ. №178419) კვლევა და პრაქტიკა წარმოდგენილია 52 კრედიტით, სადაც სასწავლო კურსზე

საკურსო შრომაზე დაშვების წინაპირობაა ლინგვისტური კვლევის მეთოდები და სამეცნიერო წერის საბაზისო უნარები; სასწავლო კურსზე დიალქტოლოგიური და ონომასტიკური საველე პრაქტიკა 1-ზე დაშვების წინაპირობაა ლინგვისტური კვლევის მეთოდები, სასწავლო კურსზე დიალქტოლოგიური და ონომასტიკური საველე პრაქტიკა 2-ზე დაშვების წინაპირობაა დიალქტოლოგიური და ონომასტიკური საველე პრაქტიკა 1, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია 30 კრედიტის მოცულობით, რომლის დაშვების წინაპირობაა ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი.

ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში (აკრედიტებული - 15/02/2023წ. №178427) სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია 30 კრედიტის მოცულობით, რომლის დაშვების წინაპირობაა ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი.

საქართველოს ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში (აკრედიტებული - 03/02/2023 წ. №124110) სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია 30 კრედიტის მოცულობით, რომლის დაშვების წინაპირობაა ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი.

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე:

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში (აკრედიტებული - 26.11 2018 წ. №164) პრაქტიკა წარმოდგენილია სამი მოდულის შემადგენლობაში: საბუღალტრო აღრიცხვის მოდული, მენეჯმენტის მოდული, ფინანსების მოდული, 5-5 კრედიტის მოცულობით და მათზე დაშვების წინაპირობაა სავალდებულო სასწავლო კურსები.

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში (აკრედიტებული - 03.10 2019 წ. №186) სტუდენტს შეუძლია აირჩიოს საბაკალავრო ნაშრომი ან სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსი საქართველოს ეკონომიკა 10 კრედიტის მოცულობით, დაშვების წინაპირობაა სავალდებულო სასწავლო კურსები.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში (აკრედიტებული - 26.11 2018 წ. №165); სამაგისტრო პრაქტიკა წარმოდგენილია 10 კრედიტის მოცულობით, რომელის დაშვების წინაპირობაა: საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები. კვლევითი კომპონენტი, სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია 30 კრედიტის მოცულობით, დაშვების წინაპირობაა საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები.

იურიდიული ფაკულტეტზე:

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში (აკრედიტებული - 19.03.2021; №258054) სასწავლო კურსი საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი წარმოდგენილია 5 კრედიტით, რომლის დაშვების წინაპირობაა სასწავლო კურსები: საკონსტიტუციო მართლმსაჯულება და საკონსტიტუციო კონტროლი; ადმინისტრაციული სამართლის პროცესი; სასწავლო კურსის კერძო სამართლის პრაქტიკული კურსის დაშვების წინაპირობაა სასწავლო კურსი სამოქალაქო სამართლის პროცესი 2; სასწავლო კურსის სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსის დაშვების წინაპირობაა სისხლის სამართლის პროცესის კერძო ნაწილი; სასწავლო კურსის პრაქტიკული სამართლის კლინიკა დაშვების წინაპირობაა სასწავლო კურსები: სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი, საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი, კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი; სასწავლო კურსის დაცვის ხელოვნება სისხლის სამართლის პროცესის კერძო ნაწილი; სასწავლო კურსის დაცვის ხელოვნება დაშვების წინაპირობაა სისხლის სამართლის პროცესის კერძო ნაწილი; სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი.

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში (აკრედიტებული - 07/07/2023; №848607) სასწავლო კურსი პრაქტიკა წარმოდგენილია 10 კრედიტის მოცულობით, დაშვების წინაპირობაა სასწავლო კურსი ინტერესთა შეუთავსებლობა და პროფესიული ეთიკა საჯარო სამსახურში

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:

ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში (აკრედიტებული - 11.09.2020 წ. №820912) გათვალისწინებულია საბაკალავრო პროექტი (10 კრედიტის მოცულობით), რომლის დაშვების წინაპირობაა მე-8 სემესტრამდე გავლილი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები.

ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში (აკრედიტებული - 24/06/2022წ. № 702716) სასწავლო კომპონენტში წარმოდგენილია სასწავლო პრაქტიკა I (5 კრედიტის მოცულობით), რომლის დაშვების წინაპირობაა VII სემესტრამდე პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობის სავალდებულო კრედიტების ათვისება და სასწავლო პრაქტიკა II (5 კრედიტის მოცულობით), რომლის დაშვების წინაპირობაა სასწავლო პრაქტიკა I. საბაკალავრო ნაშრომი გახდა სავალდებულო სასწავლო კურსი და მასზე დაშვების წინაპირობაა VIII სემესტრამდე გავლილი პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობის სავალდებულო კრედიტების ათვისება.

აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში (აკრედიტებული - 01.02. 2021 წ. №49696) სასწავლო კომპონენტში წარმოდგენილია პრაქტიკა 1 (7 კრედიტის მოცულობით), რომლის დაშვების წინაპირობაა წინა სემესტრებში გავლილი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები და პრაქტიკა 2 (7 კრედიტის მოცულობით), რომლის დაშვების წინაპირობაა სასწავლო პრაქტიკა 1. საბაკალავრო ნაშრომი სავალდებულო სასწავლო კურსია და მასზე დაშვების წინაპირობაა პრაქტიკა 2.

ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში (აკრედიტებული 30.11.2020 წ. №1138282) პრაქტიკა წარმოდგენილია 10 კრედიტის მოცულობით, რომლის დაშვების წინაპირობაა ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები მე-2 სემესტრის ჩათვლით. კვლევითი კომპონენტი, სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია 30 კრედიტის მოცულობით, რომლის დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი.

აგროტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში (აკრედიტებული - 29.01. 2021 წ. №43852) კვლევითი კომპონენტი, სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია 30 კრედიტის მოცულობით, რომლის დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი.

ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში (აკრედიტებული - 07.06. 2021 წ. №531518) საწარმოო პრაქტიკა წარმოდგენილია 10 კრედიტის მოცულობით, რომლის დაშვების წინაპირობაა საწარმოო პრაქტიკამდე სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი. კვლევითი კომპონენტი, სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია 30 კრედიტის მოცულობით, რომლის დაშვების წინაპირობაა საწარმოო პრაქტიკა

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში (აკრედიტებული - 19.12.2019 წ. №241) სპეციალობის (დარგობრივი) პრაქტიკა - 24 კრედიტით არის წარმოდგენილი მოიცავს:

- პრაქტიკული ტრენინგი მეცხოველეობის ფერმაში (3 კრედიტი), დაშვების წინაპირობაა შემდეგი სასწავლო კურსები: ფიზიოლოგია 1 ეთოლოგიით, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და მართვა ვეტერინარებისთვის, ცხოველთა კვება 2, ცხოველთა ჰიგიენა და კეთილდღეობა, ეკოლოგია;
- პრაქტიკული ტრენინგი გამრავლების ბიოტექნოლოგიასა და მეანობა რეპროდუქციულ დაავადებებში (5 კრედიტი), დაშვების წინაპირობაა შემდეგი სასწავლო კურსები: ცხოველთა ანატომია 3, ცხოველთა ფიზიოლოგია 2, ცხოველთა გამრავლების ბიოტექნოლოგია, მეანობა და რეპროდუქციული დაავადებები;
- პრაქტიკული ტრენინგი მსხვილი ცხოველების მედიცინაში (6 კრედიტი), დაშვების წინაპირობაა კლინიკური სასწავლო კურსები;
- პრაქტიკული ტრენინგი წვრილი ცხოველების მედიცინაში (5 კრედიტი), დაშვების წინაპირობაა კლინიკური სასწავლო კურსები;
- პრაქტიკული ტრენინგი სურსათის უვნებლობასა და ვეტერინარულ ზედამხედველობაში (5 კრედიტი),
- დაშვების წინაპირობაა შემდეგი სასწავლო კურსები: ცხოველური სურსათის უვნებლობა, რძისა და რძის პროდუქტების ტექნოლოგია, ხარისხი და უვნებლობა, ხორცისა და ხორცპროდუქტების ტექნოლოგია, ხარისხი და უვნებლობა, ხორცის ინსპექტირება. კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია 20 კრედიტით. დაშვების წინაპირობაა ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი.

შენიშვნა: საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობა:
პროგრამის სავალდებულო კრედიტების სრულად ათვისება’ პლაგიატის კომისიის დასკვნა პლაგიატის არ დადასტურების შესახებ; ხელმძღვანელის შეფასებაში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დაძლევა.

სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობებია:
სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენების კრედიტების სრულად ათვისება; სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელის შუამდგომლობა ნაშრომის დაცვაზე წარსადგენად; პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების კომისიის დასკვნა პლაგიატის არ დადასტურების შესახებ.
სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის რეცენზენტის რეკომენდაცია ნაშრომის დაცვაზე წარსადგენად.

- ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია:
ყველა სასწავლო პროგრამაში განახორციელეთ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია.

- რეკომენდაციის შესრულების აღწერა და შეფასება:

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები შემუშავებულია „სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ (დამკიცებულია „სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, სხდომის ოქმი № 4, 2018 წლის 17 თებერვლის დადგენილება №14) მუხლი 7. „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და პროგრამის წარმოდგენის სავალდებულო ფორმა“, მე-15 პუნქტის „სწავლის შედეგების შეფასება“ შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან და პროგრამის აკადემიურ პერსონალთან ერთად. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს. გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასება. პირდაპირი შეფასებისას გამოყენებულია: სასწავლო კურსების საგამოცდო შეფასება, პრაქტიკის შეფასება და სხვ. არაპირდაპირი შეფასებისას: პროგრამის

ხელმძღვანელის დაკვირვება, დამსაქმებელთა გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვა.

პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის. პროგრამის ხელმძღვანელი შექმნის მონიტორინგის ჯგუფს ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენელთან და აკადემიურ პესონალთან ერთად და მათი ჩართულობით მოხდება სწავლის შედეგების შეფასება და სამიზნე ნიშნულებთან დადარება, რასაც მოჰყვება ანალიზის პროცესი და შესაბამისი რეაგირება. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასავითარებლად, რაც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირებას.

პირდაპირი შეფასების მეთოდით პროგრამის სწავლის შედეგის შეფასებისას საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება წარმოადგენს შეფასებისათვის გამოყენებულ სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი/ები, პრაქტიკა, საბაკალავრო/სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, სადოქტორო დისერტაცია და სხვ.) მიღებული პროცენტული მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს. პროგრამის სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის მიმდინარე ეტაპზე განისაზღვრება 75-80%-ით. პირდაპირი შეფასების მეთოდით სწავლის შედეგის შეფასებისას შედეგების ანალიზის საფუძველზე მოხდება რეკომენდაციების შემუშავება იმ შემთხვევაში, თუ შეფასება სამიზნე ნიშნულზე დაბალი იქნება ან/და გამოიკვეთება ძლიერი მხარეები და მოხდება მისი შენარჩუნება და იმპლემენტაცია.

სწავლის შედეგების შეფასების გეგმა:

1 სწავლის შედეგი - სასწავლო კომპონენტის დასრულება (მე- სემესტრი), სამეცნიერო კომპონენტის დასრულება (მე- სემესტრი);

2 სწავლის შედეგი - სასწავლო კომპონენტის დასრულება (მე- სემესტრი), სამეცნიერო კომპონენტის დასრულება (მე- სემესტრი);

3 სწავლის შედეგი - სასწავლო კომპონენტის დასრულება (მე- სემესტრი), სამეცნიერო კომპონენტის დასრულება (მე- სემესტრი);

4 სწავლის შედეგი - სასწავლო კომპონენტის დასრულება (მე- სემესტრი), სამეცნიერო კომპონენტის დასრულება (მე- სემესტრი);

5 სწავლის შედეგი - სასწავლო კომპონენტის დასრულება (მე- სემესტრი); სამეცნიერო კომპონენტის დასრულება (მე- სემესტრი);

6 სწავლის შედეგი - სასწავლო კომპონენტის დასრულება (მე- სემესტრი), სამეცნიერო კომპონენტის დასრულება (მე- სემესტრი);

სწავლის შედეგები	სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები				სამიზნე ნიშნულები
	პირდაპირი		არაპირდაპირი		
	მეთოდი	დრო	მეთოდი	დრო	

სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი გულისხმობს: სტუდენტის მიერ თვითშეფასებას, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვას და შედეგების ანალიზს.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული შეფასება არ არის სტუდენტის მიერ კურსის შეფასება ან კმაყოფილების კვლევის შედეგები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, შეიძლება მომზადდეს კითხვარი, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება პროგრამის სწავლის შედეგები და სტუდენტები/კურსდამთავრებულები/ დამსაქმებლები აღნიშნავენ თავიანთ მოსაზრებას, თუ რა დონეზე მიაღწიეს ამა, თუ იმ სწავლის შედეგს.

პირველკურსელთა კვლევა 2023-2024 სასწავლო წელი უნივერსიტეტში მოქმედებს ოთხი ფაკულტეტი, რომელთა საბაკალავრო პროგრამებზე პირველ კურსზე ჩაირიცხა 370-მდე სტუდენტი. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ბაკალავრიატის ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა, სულ 116 სტუდენტმა.

შენიშვნა: რესპოდენტს შეეძლო ერთდროულად რამდენიმე მისთვის მისაღები პასუხი მონიშვნა. ამიტომ შედეგების პროცენტული მაჩვენებელი ჯამურად შესაძლებელია, ხშირ შემთხვევაში, 100%-ზე მეტი აღმოჩნდეს.

პირველკურსელთა კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობა მიიღო 106 რესპოდენტმა, ხოლო მონაწილეთა საერთო რაოდენობა ფაკულტეტების შესაბამისად პროცენტულად ასე გადანაწილდა:

- განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 24,1 %;
- ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი - 22,4 %; ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი 12,9%; იურიდიული ფაკულტეტი - 40,5%.

დასკვნები

1. მიმდინარე, 2023-2024 სასწავლო წლის პირველკურსელთა წინამდებარე ინსტიტუციური კმაყოფილების კვლევაში გასულ წლებთან (შარშან 106 სტუდენტი შედარებით მეტმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა (წელს 116 სტუდენტი მონაწილეობა); კველევაში ჩართული სტუდენტების კმაყოფილების მაჩვენებლები პროცენტულად საკმაოდ გაზრდილია, თუმცა რჩება გარკვეული საკითხები, რომლებიც საჭიროებს ყურადღებას.

კერძოდ,

2. მნიშვნელოვანი საკვანძო საკითხები არ გამოკვეთილა, თუმცა ფაკულტეტების წარმომადგენლები განიხილავენ დაწვრილებით და უკუკავშირს მოაწვდიან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

გასატარებელი ღონისძიება:

1. პირველკურსელთა ინსტიტუციური კმაყოფილების კვლევის შედეგები ეცნობოს თითოეული სტრუქტურული საგანმანათლებლო ერთეულის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს სტუდენტთა ინფორმატიულობის გაზრდის მიზნით;
2. სტუდენტებს ავუხსნათ, რამდენად მნიშვნელოვანია ინსტიტუციის გაძლიერებისთვის სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, მათი კმაყოფილება და კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობა.
3. წინამდებარე საკითხებთან დაკავშირებით, რეაგირებისათვის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ინფორმაციას მიაწვდის უნივერსიტეტის რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.
4. ტრადიციულად, გარკვეულ საკითხებზე ჩაღრმავებული ინტერვიუები სტუდენტებთან შედგება რექტორის საათზე.
5. თითოეულ საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებმა სტუდენტებს გააცნონ კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგები და შესაბამისად, უკუკავშირისთვის გატარებული ღონისძიებების შედეგები.

ბაკალავრების კმაყოფილების კვლევა 2023-2024 სასწავლო წელი უნივერსიტეტის მასშტაბით

ბაკალავრების კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობდა უნივერსიტეტში მოქმედი ოთხივე ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობის საბაკალავრო საფეხურის 129 სტუდენტი. მათი მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი ფაკულტეტების შესაბამისად შემდეგ სურათს გვაძლევს:

- განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 38%
- იურიდიული ფაკულტეტი - 27,9%;
- ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი - 17,1%;

- ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი - 17,1%.

მიგნებები: სტუდენტების პასიურობა

ა) კითხვარების შევსებაში მონაწილე რესპოდენტთა რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, მიმდინარე 2023-2024 სასწავლო წელსაც გარკვეული პასიურობა დაფიქსირდა, თუმცა 10 რესპოდენტით მეტი იყო გასულ წელთან შედარებით. ეს გასაგები იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტთა მოსაზრებები და სურვილები დარჩებოდა მხოლოდ კითხვარში კომენტარების სახით. მაგრამ, უნივერსიტეტში ბოლო წლების მანძილზე დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკა - რექტორის საათი, ფაკულტეტის საბჭოებზე მიგნებების განხილვა და უკუკავშირები, სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრასთან ერთად ადასტურებს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მუშაობის გამჭვირვალობას, რისი ნათელი დადასტურებაცაა კვლევების შედეგად გამოკვეთილი მიგნებების: სტუდენტების მოსაზრებებისა და საჭიროებების მიწოდება რექტორატისთვის და ხელმძღვანელობის მხრიდან აღნიშნულ საკითხებზე მყისიერი რეაგირება.

ბ) რადგან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დასახელებული სტუდენტთა ჩართულობის ძირითადი ინსტრუმენტებისა და სტუდენტებისგან ინფორმაციის მიღების საშუალებებისადმი სტუდენტების დამოკიდებულება ნაკლებად აქტიური ხასიათისაა, შესაბამისად, კვლევაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტის ორ მნიშვნელოვან რგოლს შორის კომუნიკაცია კიდევ უფრო დახვეწასა და გაუმჯობესებას საჭიროებს. აღსანიშნავია, ბოლო პერიოდში სტუდენტური თვითმმართველობის აქტიური თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

გ) კვლევის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა ჩართულობა განაპირობებს სტუდენტების მხრიდან უნივერსიტეტით კმაყოფილების დონეს, შესაბამისად, რაც უფრო მაღალია სტუდენტთა ჩართულობა, მით უფრო მაღალია მათი საუნივერსიტეტო გარემოთი კმაყოფილების მაჩვენებელი, ხოლო ზოგიერთ ისეთ საკითხზე, როგორიცაა სახელმძღვანელოებზე, კომპიუტერების გამართულ მუშაობაზე, საერთო საცხოვრებლის არ არსებობასა და სხვა საკითხებზე სტუდენტების კომენტარები, აღნიშნულ საკითხებს განიხილავენ ფაკულტეტებსა და შესაბამის ადმინისტრაციულ სამსახურებში და უკუკავშირის მიღებისთანავე მოხდება მყისიერი რეაგირება.

მაგისტრანტების კმაყოფილების კვლევა 2023-2024 სასწავლო წელი

- 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისში ჩატარდა მაგისტრანტების კმაყოფილების კვლევა. კვლევაში მონაწილეობდა 19 მაგისტრანტი. მათ შორის:
- ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტიდან კვლევაში მონაწილე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 21,1%;
- ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან კვლევაში მონაწილე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 78,9%;
- კვლევაში მონაწილეობდნენ ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ბიზნესის ადმინისტრირების, ბიზნესი-ინფორმატიკის, ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები.

საყურადღებო საკითხები:

მე-2 კითხვა: სასწავლო პროცესი ორგანიზებული და მოწესრიგებულია, 15,8%

უპასუხა მეტწილად. აღნიშნული მაჩვენებელი საჭიროებს დაზუსტებას.

მე-5 კითხვა: სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელის კონსულტაციებისთვის დრო საკმარისია, 10,5%-მა დააფიქსირა მეტწილად კმაყოფილება სამეცნიერო ხელმძღვანელის საკონსულტაციო დროსთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას სამეცნიერო ხელმძღვანელებთან.

მე-6 კითხვა: სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელი გეხმარებათ სამუშაო გეგმის შედგენაში, აღნიშნულ კითხვაზე დაფიქსირდა 5,3% ნაწილობრივი მაჩვენებელი. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის შემუშავების ინსტრუქციის თანახმად, სამაგისტრო ნაშრომის თემის ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს მაგისტრანტის დაკვალიანება და დახმარება სამუშაო გეგმის შედგენაში. მე-8 კითხვა: სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელი გეხმარებათ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების პროცესში, ნაწილობრივ გვეხმარება უპასუხა დაახლოებით 5%-მა. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის შემუშავების ინსტრუქციის თანახმად, სამაგისტრო ნაშრომის თემის ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს მაგისტრანტის ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების პროცესი. აღნიშნული საკითხის განხილვა მოხდება ფაკულტეტების დონეზე, მაგისტრანტებთან და სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ჩაღრმავებული ინტერვიუების სახით.

მოქმედი დოქტორანტების კმაყოფილების კვლევა 2023-2024 სასწავლო წელი სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, ისევე როგორც ზოგადად საგანმანათლებლო სივრცეში, თანამედროვე უმაღლესი განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს უნივერსიტეტის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში სტუდენტთა ჩართულობა. უნივერსიტეტი სტუდენტთა ჩართულობას განიხილავს, როგორც სტუდენტთა და საგანმანათლებლო დაწესებულების სხვადასხვა რესურსების ურთიერთქმედებას სწავლის შედეგების ზრდისა და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებისთვის. ხარისხის სამსახურს მიაჩნია, რომ სტუდენტთა ჩართულობა დადებით გავლენას მოახდენს სტუდენტების სწავლის დონის ამაღლებაზე, რადგან სტუდენტს საშუალება თუ ექნება გამოხატოს საკუთარი აზრი, რომლის შედეგადაც უნივერსიტეტში განხორციელდება პოზიტიური ცვლილება, გაეზრდება მოტივაცია და თავდაჯერებულობა, რაც შედეგად აისახება მათ სასწავლო საქმიანობასა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში.

საქართველოს კანონის ,,უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 43. სტუდენტის უფლებები, შესაბამისად, სტუდენტს უფლება აქვს: მიიღოს ხარისხიანი განათლება; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით, შინაგანაწესითა და დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით; თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას; პერიოდულად მოახდინოს სადოქტორო პროგრამის, სამეცნიერო ხელმძღვანელის, აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება; მიაწოდოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის ორგანოს საკუთარი მოსაზებები, ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები; მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ორგანოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში და სხვ.; კვლევის მიზანი და ამოცანები - კვლევის მიზანი იყო უნივერსიტეტის ხარისხის მართვისა და მისი ორგანიზაციული განვითარების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის ხარისხის, აღნიშნული პროცესისადმი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის სტუდენტებისა და დაწესებულების დამოკიდებულებისა და სტუდენტთა მხრიდან უნივერსიტეტის განათლების ხარისხით, სამეცნიერო ხელმძღვანელით კმაყოფილების დონის განსაზღვრა.

კვლევის მეთოდოლოგია - კვლევაში გამოყენებული იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები. ამ მიზნით სპეციალურად განახლდა ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარის მატრიცა. სამიზნე აუდიტორიად განისაზღვრა უმაღლესი განათლების მესამე საფეხური - დოქტორანტურა (საუნივერსიტეტო გარემოთი და სამეცნიერო ხელმძღვანელით კმაყოფილებასთან დაკავშირებით დოქტორანტების კვლევა). კვლევა ჩატარდა სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების: ქართული ფილოლოგიის, ეკონომიკის, ინფორმატიკის, აგრონომიის, ასტრონომიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დოქტორანტების მონაწილეობით ელექტრონული პლატფორმა

MOODLE-ის ფორმატით, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტთა ანონიმურობასა და ნებაყოფლობითობას.

გამოკითხვა, ტრადიციულად, ჩატარდა 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისში, რაც მიზანდასახულად წინ უსწრებდა სტუდენტების მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასების გამოკითხვებს.

კვლევა ითვალისწინებდა:

ა) ინსტიტუციური ხასითის ზოგადი მიგნებების დადარებას გასული წლის კვლევებსა და შემდგომ ეტაპზე დაგეგმილ კვლევებთან (კერძოდ, სტუდენტთა მიერ პროგრამითა და სამეცნიერო ხელმძღვანელის მუშაობის კმაყოფილებას).

ბ) ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთას;

გ) ძლიერი მხარეების შენარჩუნებასა და გასაუმჯობესებელი მხარეებისთვის
რეკომენდაციებისა და რჩევების შემუშავებას;

დ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის კვლევების შედეგების, მიგნებებისა და დასკვნების გაცნობა შემდგომი რეაგირებისათვის უკუკავშირის მისაღებად.

ე) კვლევების შედეგების განთავსებას უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ხარისხის
უზრუნველყოფის ფანჯარაში; სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება შემდეგი
სადოქტორო პროგრამები:

- ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა;
- საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამა
- ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა;
- აგრონომიის სადოქტორო პროგრამა;
- ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამა;
- ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა;'
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის „ასტრონომიის“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- Astronomy Joint Doctoral Programme of LEPL Samtskhe-Javakheti State University and

LEPL E. Kharadze National Astrophysical Observatory; საკითხები, რომელზეც ყურადღება უნდა გამახვილდეს:

მე-7 კითხვა, შეგიჩერებიათ თუ არა სტუდენტის სტატუსი, გაცემულია 47,1 % დადებითი პასუხი. საჭიროა ფაკულტეტებმა შეისწავლონ სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზეზები.

მე-14 კითხვა, სასწავლო კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტებს შეუძლიათ შეიძინონ ისეთი კომპეტენციები, რომლებიც პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებას უწყობს ხელს. მართალია, კვლევაში მონაწილე დოქტორანტების საერთო რაოდენობის 5,9% წერს მეტწილად თანხმობას, მაგრამ გასარკვევია, რა სჭირდება დოქტორანტს პრაქტიკული უნარების შესაძენად.

მე-18 კითხვა, კვლევის პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი სათანადო ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია (ტექნიკური აღჭურვილობა, ლაბორატორიები და სხვა რესურსები), 6% აფიქსირებს ნაწილობრივ კმაყოფილებას სასწავლო რესურსთან დაკავშირებით.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამებზე სწავლის/პროგრამის დასრულების შემდეგ პერიოდში დოქტორანტების გარკვეული ნაწილი დასაქმებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ჩართულია პედაგოგიურ საქმიანობაში (სემინარული/პრაქტიკული მეცადინეობები). სადოქტორო პროგრამის შესაბამისი სწავლის სფეროების მიმართულებით ახორციელებენ სწავლების პროცესს საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებზე სემინარებისა და პრაქტიკულ/ლაბორატორიული მეცადინეოებების სახით. სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ, გარკვეულმა კურსდამთავრებულებმა ეტაპობრივად მიიღეს მონაწილეობა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსებში. აკადემიურ

თანამდებობაზე არჩევის შემდეგ თითოეულმა მათგანმა უნივერსიტეტთან გააფორმა აფილირების ხელშეკრულება. კურსდამთავრებულების ნაწილი უნივერსიტეტში პედაგოგიურ საქმიანობას ახორციელებს მოწვეული სპეციალისტის სტატუსით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უნივერსიტეტი თვითონ არის სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულების დამსაქმებელი და ზრუნავს აკადემიურ/სამეცნიერო სივრცეში ახალგაზრდა თაობის ჩართულობაზე, რაც ცალსახად დაკავშირებულია უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტებისთვის უწყვეტი განათლების მიწოდებასთან. ამავე პერიოდში როგორც კლასტერში დაჯგუფებული, ასევე ინდივიდუალური პროგრამების შემუშავების პროცესში განხორციელდა შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების კვლევა, გაზიარებული, გათვალისწინებული და თითოეულ პროგრამაში ასახულია თითოეული სწავლის სფეროსთვის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები, პროგრამის შემუშავებისას ჩატარდა პირველკურსელების, ბაკალავრების, მაგისტრანტების, დოქტორანტების, კურსდამთავრებულების როგორც ინსტიტუციური და გარემოთი კმაყოფილების, ასევე პროგრამითა და სასწავლო კურსებით კმაყოფილებისა და სასწავლო კურსების შეფასების კვლევა.

თითოეული სასწავლო კურსის შესახებ სტუდენტების გამოკითხვების მიხედვით (აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასება, რომლის შესაბამისად უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური/მოწვეული პეროსანლის უკუკავშირის ფორმა); სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სტრუქტურული საგანმანათლებლო ერთეულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელების მიერ ჩატარდა პირველკურსელთა კვლევა ინსტიტუციური, რესურსებით, სტუდენტთა მხარდამჭერი მექანიზმებისა და სხვა ხელშემწყობი ღონისძიებების ინფორმირებულობისა და კმაყოფილების შესახებ, პირველი შთაბეჭდილება და მოლოდინები.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ოფიციალურად E-Flow შემოვიდა 340-მდე მეტი კორესპონდენცია და 250-მდე პასუხი დაუბრუნდა ადრესატს. კორესპონდენციათა ძირითად თემატიკას წარმოადგენდა:

- საგანმანათლებლო პროგრამების სააკრედიტაციო პროცესებთან დაკავშირებული საკითხები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი თემები ძირითადი სტრუქტურირებული საგანმანათლებლო ერთეულებიდან, ცენტრალური ადმინისტრაციებიდან;
- სტუდენტთა მობილობა და კრედიტების აღიარება;
- უნივერსიტეტთაშორისი თანამშრომლობის ამსახველი თემები;
- საგრანტო და საპროექტო თემებთან დაკავშირებული საკითხები;
- მიმოწერა ხარისხის გარე და შიდა აქტორებთან;
- კორესპონდენცია უცხოელ კოლეგა-ექსპერტებთან და ინსტიტუციებთან.

საანგარიშო პერიოდში შემოსული და გასული კორესპონდენციის (როგორც შიდა, ისე გარე მიმოქცევის) დიდი წილი მოდიოდა საგანმანათლებლო პროგრამების სააკრედიტაციო პროცესებთან დაკავშრებულ თემებზე.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მანდატის ფარგლებში ცვლილებები განხორციელდა სხვადასხვა მარეგულირებელ, კანონქვემდებარე აქტებში. კერძოდ, „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“, „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება“, „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში“, „სსიპ სამცხეჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროექტის/ნაშრომის შემუშავების ინსტრუქციაში“, „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის შემუშავების ინსტრუქციაში“.

საანგარიშო პერიოდში ERASMUS-EDU-2022-CBHE-STRAND 1-101082479 პროექტის ფარგლებში (საქართველო, ესტონრთი, ლატვია), სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ვეტერინარიის სადოქტორო და ვეტერინარიის ინტეგრირებული

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელის ჩართულობით შესრულებულია კვლევა ევროკომისიის ერაზმუს+ ინსტიტუციური განვითარების პროექტის „სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტების განვითარება საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ახალგაზრდა ვეტერინარიის პროფესიონალების მომზადების მიზნით" (ERASMUS-EDU-2022-CBHESTRAND 1-101082479) ფარგლებში, რომლის მიზანს შეადგენს:

- ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება და მათი შრომის ბაზრისა და საზოგადოების მოთხოვნებთან დაახლოვება;
- საქართველოში ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების კომპეტენციების, უნარებისა და დასაქმების პოტენციალის გაზრდა განახლებული ბიბლიოთეკისა და ვეტერინარის პროფესიონალებისთვის შემუშავებული ონლაინ კურსების (ე.წ. MOOC-ის) მეშვეობით;
- თბილისის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების თანასწორობის და არადისკრიმინაციის ხელშეწყობა;
- საქართველოს სამ უმაღლეს სასწავლებელში ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების მექანიზმების გაძლიერება;
- ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალის გადამზადება საქართველოში ვეტერინარიის სასწავლო პროგრამისა და ვეტერინარული განათლების გრძელვადიანი ხარისხის უზრუნველსაყოფად;
- ევროკავშირის პარტნიორ დაწესებულებებსა და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება ვეტერინარიის მეცნიერებათა სფეროში საუკეთესო პრაქტიკის გაცვლისა და შესაძლებლობების განვითარების მიზნით და ამით არსებული პრაქტიკის გაღრმავებისა და გაუმჯობესებისა და პარტნიორი საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.